# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 მარტი 2003 №42 (1813) ფასი 50 თეთრი

REUTERS ლონდონიდან




არსენალი — რომა. იტალიელთა მეკარემ ივან პელიცოლიმ რობერ პირესი და ფრედერიკ ლიუნგბერგი განაიარაღა

# პალიკო ჯიმშელეიშვილი იური ნიკოლაევს ანდერძი დაანერინა

სანამ პრეზიდენტი ვარ, ქართველებს ერთხელ მაინც მოუგეთ!

სერგეი სერგეევმა კი პრობლემა იოლად გადაჭრა: ყველა თავისიანს დედა აგინა

# მომაკვდავი აცოცხლდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## რომაელებმა ბრიტანეთიდან შანსი წაიღეს

REUTERS ამსტერდამიდან




აიაქსი — ვალენსია. მასპინძელმა პეტრი პასანენმა პასი შეირგო და სანტიაგო კანისარესს გაუტანა



ინტერვიუ პალიკო ჯიმშელეიშვილთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. V ტური

### A ჯგუფი

**ბარსელონა 2:0 ლევერკუზენი**

1:0 სავიოლა (17), 2:0 დე ბური (49)
ბარსელონა: ბონანო, გაბრი, დე ბური (ოლეგერი 63), ანდერსონი, რაიციგერი, მენდიეტა, ხავი, ოვერმარსი (ინიესტა 69), რიკელმე, კლუივერტი, სავიოლა (მოტა 46)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ლევერკუზენი: ბუტი, ოჯიგვე, კლაინი, კრისი, კალუჟნი, შიმაკი, ბალიტჩი, ბაშთურქი (შნაიდერი 74), ბაბიჩი (დოგანი 33), ფრანცა, ბერბატოვი (ბრდარიჩი 58)
მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი
გაფრთხილება: ოვერმარსი, კრისი, კალუჟნი, კლაინი
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
95 000 მაყურებელი

**ინტერი 2:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (42), 1:1 ვიერი (47), 1:2 შირერი (49), 2:2 კორდობა (61)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, კანავარო, კოკო, კონსეისაუ, დი ბიაჯო, ოკანი, გულიელმინპიეტრო (მარტინსი 46), ემრე (პასკუალე 78), ვიერი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ე. ობრაიენი (ჰიუზი 59), ბრემბლი, ბერნარი, სოლანო (ლუა ლუა 83), ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 83), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: კონსეისაუ, ბრემბლი, ვიერი, ბელამი, დი ბიაჯო, ლუა ლუა, შირერი
მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
53 459 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:11 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

*„ბარსელონა" გავიდა მეოთხედფინალში*

### B ჯგუფი

**აიაქსი 1:1 ვალენსია**

0:1 კილი გონსალესი (28), 1:1 პასანენი (58)
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, ჯ. ობრაიენი, დე იონგი (ვან დერ მეიდე 46), გალაშეკი, პიენაარი, მაქსველი, ვან დერ ვაარტი, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ვალენსია: კანისარესი, რევილიერი, პელეგრინო, აიალა (მარჩენა 88), კარბონი, რუფეტე, ბარახა, ალბელდა, კილი გონსალესი, აიმარი (ხუან სანჩესი 84), კარეუ (მისტა 64)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კილი გონსალესი, ვან დერ ვაარტი, ბარახა, პიენაარი, კანისარესი, პელეგრინო, კივუ
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
50 000 მაყურებელი

**არსენალი 1:1 რომა**

1:0 ვიეირა (12), 1:1 კასანო (45)
არსენალი: სიმენი, ლორენი (კანუ 88), კიოუნი, სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი (ლიუნგბერგი 73), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ჯეფერსი 73)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
რომა: პელიცოლი, პანუჩი, სამუელი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, ლიმა, ემერსონი, ტომაზი, ტოტი, კასანო (მონტელა 62)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კასანო, ვან ბრონკჰორსტი, სამუელი, ალდაირი
გაძევება: ტოტი (22)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
35 472 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| ვალენსია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| რომა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |




REUTERS

ინტერი — ნიუკასლი. ივან კორდობას ამ თავურს მასპინძელთა მეორე გოლი მოჰყვა




REUTERS

არსენალი — რომა. ფრანჩესკო ტოტიმ გახურებაც ვერ მოასწრო, მოედნიდან რომ გააძევეს

*რა არ ხდება: „არსენალს", „აიაქსს", „ვალენსიასა" და „რომას", თითქოს გუშინ ბოლოსწინა კი არა, პირველი ტური ყოფილიყო, ლამის თანაბარი შანსები დარჩათ ჯგუფიდან გასასვლელად. „რომა" რომ „რომაა" და სამი ტურის მერე უქულო იყო, ისიც მეოთხედფინალისკენ იყურება — მოუგოს ბოლო ტურში „აიაქსს" და თუ „ვალენსიამ" „არსენალი" ვერ დაამარცხა, ეგრეც იქნება. არადა, ყველაფერი ისე დაიწყო, რომაელები უარესს ვერც წარმოიდგენდნენ. პატრიკ ვიეირამ „მეთოფენი" დააწინაურა, მალევე კაპელოს გუნდის კაპიტანი და თილისმა ფრანჩესკო ტოტი გაისტუმრეს წითელი ბარათის ძალით. ჰოდა, თითქოს გაუგებარიცაა, საიდან მოძებნეს იტალიელებმა გასათანაბრებლად ძალა, მაგრამ ფაქტია, რომ მოძებნეს და ანტონიო კასანოს გოლმა „რომას" სიცოცხლე გაუხანგრძლივა.*

*ფრედ ითამაშეს „აიაქსმა" და „ვალენსიამაც", ოღონდ ფრე მშვიდობიანად გაყრას როდი ნიშნავს, ჰსაჯმა შვიდჯერ წაიღო ხელი ჯიბისკენ ყვითელი ბარათის ამოსაღებად.*

*ახლა, ბოლო ტურში, ამსტერდამელებს კიდევ ერთი ფრეც ხელს აძლევთ, „ვალენსიას" კი გამარჯვება მართებს.*

*A ჯგუფში კი მთავარი „ინტერისა" და „ნიუკასლის" შეხვედრა იყო, თორემ „ლევერკუზენს" აღარაფერი შველოდა და „ბარსელონასაც" სასწაული თუ ჩატოვებდა ჯგუფში.*

*„ნიუკასლი" ორჯერ იგებდა მილანის „სან სიროზე", ორჯერვე ბებერი ალან შირერის გოლებით, მაგრამ „ინტერმა" ორჯერვე გაუთანაბრა. ერთი გოლი კრისტიან ვიერისაა — სერია A-ს ბომბარდირმა საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში პირველად გაიტანა.*

*ამგვარად, სამეორეადგილეო ბრძოლა „ინტერსა" და „ნიუკასლს" შორის ბოლო ტურშიც გაგრძელდება, ოღონდ სხვადასხვა ადგილას. „ნიუკასლი" უმოტივაციო „ბარსელონას" დამარცხებას შეეცდება, „ინტერი" კი ასევე უმატივაციო გერმანული კლუბისა. ოღონდ ერთიცაა, „ბარსა" არც მთლად უმოტივაციოა — ზედიზედ 13 წაუგებელი თამაში დაუგროვდა და რეკორდისკენ მიიწევს.*

## პრესამ სანდერლენდისთვის მაკარტი გამოჩხრიკა



**დღეს**, თბილისის დროით 14 საათზე, ინგლისური „სანდერლენდის"ოფისში კლუბის ბოსები პრესკონფერენციას მოიწვევენ. საქმე ის გახლავთ, რომ პრემიერლიგის აუტსაიდერმა მენეჯერი ჰოვარდ უილკინსონი გაათავისუფლა (იხილეთ მეოთხე გვერდზე), დღეს კი „სანდერლენდის" ახალი მენეჯერის ვინაობა უნდა გაირკვეს.

მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, მედიას წინასწარ რაღაც-რაღაცეები არ გამოეჩხრიკა და ხალხის სამსჯავროზე არ გამოეტანა. ჰოდა, ითქვა, „სანდერლენდი" მიკ მაკარტის უპირებს დანიშვნასო. მაკარტი კია, მოგეხსენებათ, ვინცაა — ირლანდიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გამყვანი მწვრთნელი, რომელიც, ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლი ცუდად რომ არ დაეწყო, 29 მარტს თბილისშიც ჩამოვიდოდა.

## ძველი მუსლინი ახალ ლევსკიში

**ქართველთა** ძველ ნაცნობ სლავოლუბ მუსლინს ბულგარული „ლევსკის" მწვრთნელად ნიშნავენ. „სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია" — განაცხადა სოფიელთა პრესმდივანმა კონსტანტინ პეტკოვმა.

ბოლო ერთი წელია, ბულგარეთის ჩემპიონს გეორგი ტოდოროვი წვრთნის, ახლახან კი ვითარება შეიცვალა. კლუბის მეთვალყურეთა საბჭოს ათი წევრი და დირექტორატის ცხრავე წევრი გადადგა, რამაც მწვრთნელის შეცვლის აუცილებლობაც გამოიწვია. არადა, „ლევსკის" საქმე ცუდად არ აქვს, ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, თუმც ლიდერ ცესკას შვიდი ქულით ჩამორჩება.

მუსლინი „ლევსკიში" ძველი კაცია, მისი თავკაცობით გუნდმა დუბლი გააზერხა და ეს, სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა—სწორედ გეორგი ტოდოროვის მისვლამდე.

ჩვენ კი მუსლინი „ცრვენა ზვეზდადან" გვახსოვს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ქუთაისის „ტორპედო" გამოაგდო.

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ჯილინგემი 3:3 უიმბლდონი
კრისტალ პალასი 1:1 იფსვიჩი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

ბრენტფორდი 1:1 კოლჩესტერი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები**

დარლინგტონი 1:2 კემბრიჯი
კარლაილი 1:2 სკანთორპი
მაკლსფილდი 3:1 ლეიტონი
როჩდეილი 1:1 ბორნმუთი
რეძსემი 3:3 შრიუსბერი

### შოტლანდია

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

კლაიდი 2:2 ალოა
ძუინი 0:0 ინვერნესი
როსი 0:1 ფოლკირკი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

დამბარტონი 1:3 ბრეჩინი
ფორფარი 4:2 რეითი
სტრანრარი 4:4 კოუდენბითი
ჰამილტონი 2:1 ერდრი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ალბიონი 0:0 პიტერჰედი
მორტონი 2:2 სტირლინგი

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## C ჯგუფი

### რეალი — მილანი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი, რაული, გუტი (ან რონალდო)

დიდა, შიმიჩი, ნესტა, კოსტაკურტა, მალდინი, რედონდო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო, რივალდო

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

დისკვალიფიცირებულნი: *რეალი:* არავინ; *მილანი:* ჯენარო გატუზო (1 მატჩი)




დასვენებული რივალდო ფილიპო ინძაგის დაასვენებს

# მილანის პრინციპი

## გერმანია 1984 წელს უახლოვდება

**კიდევ** ერთი ვერმოგება „რეალისთვის" ალბათ, დამღუპველი იქნება — ჩასაფრებული „დორტმუნდი" ხომ მადრიდელთა ფეხის დაცდენას ელოდება. კიდევ ერთი ვერმოგება, ვთქვით, რადგან „რეალმა" ბოლო რვა საჩემპიონთალიგო მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ფაქტები იმასაც გვეუბნებიან, რომ „რეალს" ოთხჯერ უმასპინძლია „მილანისთვის" და ერთხელაც არ დამარცხებულა, თუმცა მეორე მხრივ, „მილანის" ესპანეთში წინა სამი სტუმრობა იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა. ისე ფაქტები, სადღეისო ვითარების გაუთვალისწინებლად, არაფრის მოცემია. სადღეისოდ კი „მილანს" თავი ქუდში აქვს და პირველი ეტაპის ამბებს თუ გავიხსენებთ, თამაშით თავს არ მოიკლავს. შეგახსენებთ, რომ „მილანმა" წინა ეტაპზეც ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო, ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა, ბოლო ორი მატჩი სათადარიგოებით ჩაატარა და ორივე წააგო. ამ პრინციპით, მილანელები დღესაც უნდა დამარცხდნენ.

„რეალს" ალბათ არ ეყოლება რონალდო, ბრაზილიელი „რასინგთან" შეხვედრისას დაშავდა და პირველი ტაიმის მერე გუტით შესაცვლელი შეიქნა, რომელმაც იმ მატჩში გოლიც გაიტანა. თუ რონალდო საღამომდე ვერ მომჯობინდა, მას კვლავ გუტი შეცვლის. ბოლოს და ბოლოს, ვისენტე დელ ბოსკეს ხავიერ პორტილიოც ჰყავს, მოკლედ, ფორვარდის პრობლემა არ უნდა აწუხებდეს. მეორე თავდამსხმელი, ცხადია, რაული იქნება.

ელოდებიან ივან ელგერას დაბრუნებას, რომელიც დაცვის ცენტრში ფრანსისკო პავონს შეუწყვილდება.

კარლო ანჩელოტიმ კი განაცხადა, რომ ფილიპო ინძაგის დაასვენებს, ხოლო ანდრეი შევჩენკოს რივალდოს შეუწყვილებს. ბრაზილიელს დასვენება არ სჭირდება, ისედაც დასვენებულია, რადგან წინა უქმეებზე „კიევოსთან" შეხვედრა კოჭის მცირე ტკივილის გამო გამოტოვა. დაშავებული კახა კალაძის ნაცვლად ალესანდრო კოსტაკურტა ითამაშებს.

თუ დღეს „რეალმა" მოიგო, „დორტმუნდმა" კი თუნდაც ფრედ ითამაშა, მოხდება ის, რაც 19 წელია, აღარ მომხდარა. კერძოდ, ევროთასების მეოთხედფინალს გერმანული გუნდი არ შერჩება.

თუმცა, ცხადია, „დორტმუნდი" იოლად არ დანებდება „ლოკომოტივს". მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსი ძალიან დიდი არ აქვს, მაგრამ ბუნდესლიგაში ლიდერს მთელი 13 ქულით ჩამორჩება, ჩემპიონობის იმედი პრაქტიკულად დაკარგა და მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგაზე აქვს გადატანილი.

„დორტმუნდს" რა ხანია აწუხებს ჩეხი გამთამაშებლის ტომაშ როსიცკის არყოფნა. საქმე მომჯობინებისკენ კი მიდის, მაგრამ საეჭვოა, მან დღეს ითამაშოს შეძლოს.

რუსთა ჩემპიონი „ლოკომოტივი", მოგეხსენებათ, რუსეთის თასიდან პირველლიგელმა „ანჟიმ" დაიყრონა, სამაგიეროდ, ქვეყნის სუპერთასი აართვა პენალტების სერიაში ცესკას. ჩემპიონთა ლიგაში კი რუსები ერთი ქულის ამარა არიან, თუმცა ჯგუფიდან გასვლის თეორიულ შანსს ინარჩუნებენ.

„ლოკომოტივი" დღეს დისკვალიფიცირებული დმიტრი ლოსკოვის გარეშე ითამაშებს, რომელიც გუნდის კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირიცაა. რუსებს არც გენადი ნიჟეგოროდოვი ეყოლებათ.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| რეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

*„მილანი" გასულია მეოთხედფინალში*

### დორტმუნდი — ლოკომოტივი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლემანი, მადუნი, როიტერი, ვიორნსი, მეცელდერი, რიკენი, ფრინგსი, კელი, დედე, კოლერი, ევერტონი

ოვჩინიკოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი, მნგუნი, იზმაილოვი, მამინოვი, ჟულიო სეზარი, პიმენოვი

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

დისკვალიფიცირებულნი: *დორტმუნდი:* არავინ; *ლოკომოტივი:* დმიტრი ლოსკოვი (1 მატჩი), გენადი ნიჟეგოროდოვი (1 მატჩი)

## D ჯგუფი

### მანჩესტერი — ბაზელი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ოში, ფ. ნევილი, ბექემი, ბათი, გიგზი, სქოულზი, სოლსკიაერი, ვან ნისტელროი (ან ფორლანი)

ცუბერბიულერი, ჰაასი, მ. იაკინი, ცვისიგი, ატუბა, კანტალუპი, ჩიპერფილდი, ბარბერისი, ჰ. იაკინი, როსი, ხიმენესი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

დისკვალიფიცირებულნი: *მანჩესტერი:* არავინ; *ბაზელი:* არავინ

# მანჩესტერი ისვენებს

## აბა, ბაზელს ვინ ხვდება?

„მანჩესტერ იუნაიტედი" ხომ უკვე მეოთხედფინალისტია და, შესაბამისად, მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ალბათ მთავარ ფეხბურთელთა დიდ ჯგუფს დაასვენებს.

უეჭველად არ იქნება დაშავებული კაპიტანი როი კინი. აგრეთვე, არ იქნებიან ხუან სებასტიან ვერონი და ლორან ბლანიც, ხოლო ვეს ბრაუნი და კვინტონ ფორჩუნი ექიმის ნებართვას თუ აკრძალვას ელიან. რაც შეეხება მიკაელ სილვესტრს, იგი მუხლნატკენი გახლდათ და, ალბათ, არ გარისკავენ, დაასვენებენ.

სავარაუდოდ, რუუდ ვან ნისტელროის ადგილს დიეგო ფორლანი დაიკავებს, რომელმაც კოჭი უკვე მოიშუშა.

„ბაზელს" წესითა და რიგით, პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. ამბობენ, რომ შვეიცარიელთა მწვრთნელი კრისტიან გროსი წინა ტურში, ლა კორუნიაში დამარცხების შემდეგ ისევ მოგებათა ტალღაზე აპირებს მომართვას, რაც იმას ნიშნავს, რომ გროსი თვით „იუნაიტედს" არ ეპუება. ლა კორუნიაში ვერ ითამაშა მაშინ გრიპიანმა მცველმა მურატ იაკინმა, მაგრამ მას მერე ორი კვირაა გასული, ამ ხნის მანძილზე კი ნაწრთობი კი არა, ჩვეულებრივი ორგანიზმიც ჯანმრთელდება.

შვეიცარიის პირველობაზე გასულ ტურში, „სერვეტთან" შეხვედრაში, გროსმა ნახევარმცველი სებასტიან ბარბერისი დაასვენა. ერთი სიტყვით, ეს ფეხბურთელი მანჩესტერში დასვენებული ითამაშებს. თავდასხმაში არგენტინული წყვილი, კრისტიან ხიმენესი და ხულიო ერნან როსი („სერვეტთან" მანაც დაისვენა) იტრიალებენ.

დაშავებულები მხოლოდ ნახევარმცველები, ანტონიო ესპოზიტო და ივან ერგიჩი არიან.

და მაინც, „ბაზელი" ტრადიციისამებრ სტუმრად სუსტად თამაშობს. მას ევროშეჯიბრებებში სულ 32 შეხვედრა აქვს სტუმრად გამართული და აქედან 22 წაგებული. დანარჩენი ათიდან, შვეიცარიელებმა მხოლოდ ხუთი მოიგეს. რაც შეეხება გაშვებულ გოლებს, აქ საქმე უბრალოდ კატასტროფულად არის, „ბაზელს" ხსენებულ 32 შეხვედრაში მეტოქეებმა 80 გოლი გაუტანეს.

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ „ბაზელმა", დიდი შანსია, ამჯერადაც წააგოს, რაც ნათელს ხდის ჯგუფის მეორე შეხვედრის მნიშვნელობას: „იუვენტუსსა" და „დეპორტივოს" შორის (მანჩესტერში „მანჩესტერის" გამარჯვების შემთხვევაში) მოგებული მეოთხედფინალშია.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსი" და „დეპორტივო" ბოლო სამი სეზონია, ერთმანეთს ეთამაშებიან — ასეთია ბედის ირონია. ესე იგი, ამ სამი სეზონის ჯამში დღეს ტურინელები და ლაკორუნიელები მეექვსედ ხვდებიან ერთმანეთს და ... უკვე ჩატარებული ხუთიდან იტალიურ გუნდს ერთიც არ მოუგია: ოთხი ფრედ დასრულდა, ერთში „დეპორტივომ" გაიმარჯვა.

მაგრამ, სტატისტიკა სხვასაც მეტყველებს. კერძოდ, ტურინს ჩასული ბოლო 15 ესპანური გუნდიდან ერთსაც არ მოუგია, გატანით კი სულ 5 გაიტანეს. ერთადერთი ესპანური გუნდი, რომელმაც ტურინში მოიგო, გახლდათ „რეალი" და ეს ამბავი 1961-1962 წლების სეზონში მოხდა.

„იუვენტუსი" „დეპორტივოს", თუ ალესანდრო დელ პიეროს არყოფნას არ ჩავთვლით, სრული შემადგენლობით დახვდება, „დეპორტივომ" კი ვისაც სირბილი შეუძლია, ყველა წაიყვანა და მწვრთნელი, ხავიერ ირურეტა, უარესს და უკეთესს იქ აირჩევს.

კერძოდ, ირურეტამ თვით მეკარე ხოსე მოლინაც კი იახლა, რომელიც რთული დაავადების გამო ბოლო ხუთი თვე ისვენებდა. ის მართალია არ ითამაშებს, მაგრამ „დელე ალპიზე" ყოფნით თავისიანებს გაამხნევებს.

ვიქტორი ექვსკვირიანი არყოფნის შემდეგ მარჯვენა ფრთას უბრუნდება.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბაზელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

*„მანჩესტერი" გასულია მეოთხედფინალში*

### იუვენტუსი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუფონი, ბირინდელი, ტურამი, იულიანო, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო

ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, სესარი, რომერო, ვიქტორი, მაურო სილვა, სერხიო, ფრანი, ტრისტანი, მაკაი

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *იუვენტუსი:* არავინ; *დეპორტივო:* არავინ



ფაბიენ ბარტეზის საჯარიმოში კრისტიან ხიმენესი და ხულიო ერნან როსი იტრიალებენ

# გაგვიტყდა! თქვეს ქომაგებმა

## პასუხად სანდერლენდმა უილკინსონი გაუშვა



სტივ კოტერილმა და ჰოვარდ უილკინსონმა „სანდერლენდში“ ოცი მატჩი გაძლეს

**როგორც** „სანდერლენდის“ ოფისში განაცხადეს, ამიერიდან ჰოვარდ უილკინსონი გუნდის მწვრთნელი აღარ არის.

„დირექტორატმა ქომაგებისა და თავად კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მწვრთნელთან ერთად გათავისუფლებულია მისი ასისტენტი სტივ კოტერილიც“ — წერია განცხადებაში.

უილკინსონი „სანდერლენდში“ ოქტომბერში მივიდა პიტერ რიდის მაგივრად, მაგრამ ვერაფერი გააწყო, 20 თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგო და გუნდი დღეს ბოლო ადგილზეა.

„უილკინსონის შემცვლელს, ამ უქმეებზე „ბოლტონთან“ თამაშის წინ დავასახელებთ“ — განაცხადა თავმჯდომარე ბობ მიურეიმ.

შეგახსენებთ, რომ უილკინსონი ადრე რვა წლის განმავლობაში, „ლიდს იუნაიტედში“ მუშაობდა, სადაც 1992 წელს ყოფილი პირველი დივიზიონის ანუ ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიგო. 1996 წელს იგი „ლიდსიდან“ გაუშვეს და ერთიხანობა ინგლისის ნაკრების ტექნიკური დირექტორი იყო.

რაც შეეხება რიდს, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, უილკინსონმა ოქტომბერში შეცვალა, იგი „სანდერლენდს“ შვიდი წლის განმავლობაში თავკაცობდა, მაგრამ წინა სეზონში გუნდი კინაღამ გაუვარდა, ამ სეზონში კი ცხრა მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო.

„ასეთ რთულ მდგომარეობაში ქომაგები ძალიან ერთგულად დაგვიდგნენ გვერდით. ვგრძნობთ, როგორ გაუტყდათ ფანებს გული და განვიცდით. ჩვენი სურვილია „სანდერლენდი“ ძველებურად ყოჩაღი ვიხილოთ და მან გულის გასახარებელი ფეხბურთი ითამაშოს“ — დასძინა მიურეიმ.

**პაპუნა ძიდია**

# რონალდო მეგობარს ჩაუჯდა

## ბრაზილიელმა სალამანკას წილი იყიდა



რონალდო კარგი მეგობარია, ეს ბოთლებიც, ალბათ, მისი ნაყიდია

**რას აკეთებს** რონალდო თავისუფალ დროს? რას და, სეგუნდადივიზიონის მატჩების სანახავად დადის. მაგალითად, 9 მარტს რონალდო სალამანკაში წასულა და იქაური გუნდის მატჩს დასწრებია.

„სალამანკა“ — „ნუმანსია“ უგოლო ფრით დასრულდა და რა უნდოდა იქ მსოფლიოს ჩემპიონს? „სალამანკას“ პრეზიდენტ ხუან ხოსე იდალგოს მეგობარი ყოფილა. ჰოდა, როცა მეგობარს დახმარება სჭირდება, „კიჭას“ არ ეშლება.

ხუან ხოსე იდალგოს გუნდის პრიმერადივიზიონში დაბრუნება განუზრახავს (იქიდან 1999 წელს გავარდა), ამას კი სხვა ყველაფრის გარდა, ფულიც სჭირდება, რომელიც „სალამანკას“ პრეზიდენტს ამჟამად შემოლევია და დახმარება მეგობარი რონალდოსთვის უთხოვია. რონალდოსაც უთქვამს, წილი მომყიდეთო. მაშინვე, იმწამსვე, უყოყმანოდ, ხუან ხოსე იდალგომ მსოფლიოს ჩემპიონი კლუბის წილში 33 ათას 130 დოლარად ჩასვა, ანუ „კიჭამ“ ზუსტად ამდენი გაიღო მეგობრის გუნდისთვის. „მე და ხუანი მეგობრები ვართ — თქვა ახალმა მეწილემ — ვიცი, მისი ოცნება პრიმერადივიზიონში დაბრუნებაა. ფული შემოაკლდა, დამირეკა და მეც გვერდში დავუდექი. ამ სეზონში ალბათ ვერა, მაგრამ მჯერა, გაისად უძლიერესთა შორის აღმოჩნდებიან“.

**გაგა ხუციშვილი**

# მაცალეთ!

## ჯერ შევიდეთ, მერე შევხედოთ



ხოსე ანტონიო კამაჩო

**ლისაბონის** „ბენფიკაში“ ხოსე ანტონიო კამაჩოს მისვლის შემდეგ გუნდმა შესამჩნევად მოუმატა, თუმც „პორტუსთან“ ბოლო ტურის მატჩში მაინც დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ლისაბონური კლუბის ბოსებს ესპანელი მწვრთნელის დატოვება განუზრახავთ. კამაჩოსთან კონტრაქტი იმ შემთხვევაში განახლდება, თუ „ბენფიკა“ მომავალ ჩემპიონთა ლიგაში ადგილს დაიბევებს. საამისოდ გუნდმა პორტუგალიის ჩემპიონატში მეორე ადგილი უნდა დაიკავოს.

„რაც აქ მოვედი — თქვა კამაჩომ — ხალხი ჩემს სამომავლო გეგმებზე მკითხაობს. ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. ვნახოთ, სეზონი დასრულდება და მეორე ადგილს თუ შევწვდით, ახალ კონტრაქტზე მერე ვისაუბრებ“.

ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტურით ადრე „ბენფიკა“ ორი ქულით უსწრებს „სპორტინგს“, ხოლო 13 ქულით წინ გაქცეული „პორტუს“ დაწევა ძალიან გაუჭირდება. სხვათა შორის, წინა ტურში „პორტუსთან“ მარცხი ესპანელი მწვრთნელისთვის „ბენფიკაში“ მისვლის შემდეგ პირველი იყო. შეგახსენებთ, რომ იგი ლისაბონში ნოემბრიდან მუშაობს.

**გაგა ხუციშვილი**

# ჰანზური ჰითხვა

## რატომ უსტვენს მსაჯი?



მოჰამადუ იდრისუ

**როსტოკის** „ჰანზამ“ გერმანიის საფეხბურთო კავშირში საპროტესტო წერილი აფრინა და წინა უქმეებზე ბუნდესლიგის ტურში „ჰანოვერთან“ წაგებული მატჩის შედეგის გაუქმება მოითხოვა.

საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, ჰანოვერელმა ფორვარდმა მოჰამადუ იდრისუმ როსტოკელებს მეორე გოლი გაუტანა, არადა, დარტყმამდე არბიტრ ედგარ შტაინბორნს დასტვენილი ჰქონდა. იდრისუმ მაინც დაარტყა, ხოლო შტაინბორნმა გოლი რატომღაც ჩათვალა.

ამ გოლმა „ჰანზა“ გატეხა და მეორე ტაიმში ერთი ბურთიც გაუშვა.

საფეხბურთო კავშირი როსტოკელთა საჩივარს განიხილავს. ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ მსგავსი რამ ბუნდესლიგაში 1997 წელსაც მოხდა. „კაიზერსლაუტერნს“ „მიუნხენის“ კარში ამგვარად გატანილი გოლი ჩაუთვალეს და თამაში 2:2 დასრულდა. მაშინ მიუნხენელებმა ის გოლი გააპროტესტეს და კავშირმაც თავდაპირველად გადათამაშება ბრძანა. მაგრამ მოგვიანებით საქმეში ფიფა ჩაერია და აქაოდა, მსაჯის შეცდომებზე გამოდავება არ ღირსო, კავშირს შედეგის ძალაში დატოვება მოსთხოვა. კავშირი ფიფას დაყაბულდა.

**ირაკლი ნინიძე**

### ინგლისი

**I დივიზიონი. XXXVI ტური**

**ნოტინგემი 2:2 გრიმსბი**

1:0 რიდი (23), 1:1 გროვსი (44), 1:2 ბუტონი (47), 2:2 გ. უილიამსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 35 | 21 | 10 | 4 | 73:34 | 73 |
| ლესტერი | 36 | 20 | 11 | 5 | 58:32 | 71 |
| რედინგი | 35 | 19 | 4 | 12 | 45:33 | 61 |
| ნოტინგემი | 35 | 16 | 11 | 8 | 62:36 | 59 |
| შეფილდი | 33 | 17 | 7 | 9 | 51:36 | 58 |
| ვულვზი | 35 | 15 | 11 | 9 | 61:37 | 56 |
| იფსვიჩი | 35 | 13 | 11 | 11 | 54:45 | 50 |
| ნორვიჩი | 34 | 13 | 10 | 11 | 44:34 | 49 |
| როტერჰემი | 36 | 13 | 9 | 14 | 52:50 | 48 |
| ჯილინგემი | 34 | 13 | 9 | 12 | 45:46 | 48 |
| ბარნლი | 33 | 13 | 9 | 11 | 48:56 | 48 |
| პრესტონი | 35 | 12 | 11 | 12 | 53:54 | 47 |
| ქოვენთრი | 36 | 12 | 11 | 13 | 41:44 | 47 |
| მილუოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 42:55 | 47 |
| უოტფორდი | 36 | 13 | 8 | 15 | 39:53 | 47 |
| კრ. პალასი | 34 | 11 | 13 | 10 | 45:39 | 46 |
| უიმბლდონი | 34 | 12 | 10 | 12 | 56:57 | 46 |
| დერბი | 36 | 12 | 7 | 17 | 45:55 | 43 |
| ბრედფორდი | 35 | 11 | 9 | 15 | 42:55 | 42 |
| უოლსოლი | 35 | 11 | 7 | 17 | 46:52 | 40 |
| ბრაიტონი | 36 | 8 | 8 | 20 | 36:55 | 32 |
| სტოკი | 36 | 7 | 11 | 18 | 36:63 | 32 |
| უენსდი | 36 | 6 | 12 | 18 | 37:59 | 30 |
| გრიმსბი | 36 | 7 | 9 | 20 | 41:72 | 30 |

### გერმანია

**II ბუნდესლიგა. XXIV ტური**

**დუისბურგი 0:2 აინტრახტი**

0:1 ტსომუ-მადზა (34), 0:2 კელერი (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 24 | 13 | 11 | 0 | 50:28 | 50 |
| აინტრახტი | 24 | 13 | 7 | 4 | 38:20 | 46 |
| ფრაიბურგი | 24 | 13 | 6 | 5 | 36:20 | 45 |
| მაინცი | 24 | 13 | 4 | 7 | 39:23 | 43 |
| ტრირი | 24 | 12 | 6 | 6 | 42:29 | 42 |
| ალემანია | 24 | 10 | 8 | 6 | 40:31 | 38 |
| ფიურტი | 24 | 8 | 10 | 6 | 30:26 | 34 |
| დუისბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 33:34 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 24 | 7 | 10 | 7 | 38:32 | 31 |
| ობერჰაუზენი | 24 | 8 | 6 | 10 | 26:29 | 30 |
| როიტლინგენი | 23 | 8 | 5 | 10 | 30:33 | 29 |
| ლიუბეკი | 24 | 8 | 4 | 12 | 34:36 | 28 |
| უნიონი | 23 | 5 | 11 | 7 | 28:41 | 26 |
| ალენი | 24 | 7 | 4 | 13 | 34:44 | 25 |
| ზტ. პაული | 24 | 5 | 6 | 13 | 34:50 | 21 |
| კარლსრუე | 24 | 4 | 9 | 11 | 23:39 | 21 |
| ვალდჰოფი | 24 | 5 | 6 | 13 | 27:47 | 21 |
| ბრაუნშვაიგი | 24 | 4 | 7 | 13 | 24:44 | 19 |

### იტალია

**სერია B. XXV ტური**

**სამპდორია 2:0 ნაპოლი**

1:0 ბაცანი (20), 2:0 ფლაკი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 25 | 12 | 9 | 4 | 37:20 | 45 |
| ანკონა | 25 | 12 | 8 | 5 | 37:27 | 44 |
| სიენა | 25 | 11 | 11 | 3 | 30:20 | 44 |
| ტრიესტინა | 25 | 11 | 7 | 7 | 35:26 | 40 |
| ვიჩენცა | 25 | 10 | 10 | 5 | 37:30 | 40 |
| ლივორნო | 25 | 10 | 7 | 8 | 29:21 | 37 |
| ლეჩე | 25 | 8 | 13 | 4 | 29:24 | 37 |
| ტერნანა | 25 | 10 | 7 | 8 | 29:25 | 37 |
| მესინა | 25 | 8 | 10 | 7 | 36:32 | 34 |
| პალერმო | 25 | 9 | 7 | 9 | 25:27 | 34 |
| ვენეცია | 25 | 9 | 7 | 9 | 27:31 | 34 |
| კალიარი | 25 | 9 | 6 | 10 | 26:32 | 33 |
| ვერონა | 25 | 7 | 9 | 9 | 28:27 | 30 |
| ასკოლი | 25 | 8 | 6 | 11 | 30:34 | 30 |
| ჯენოა | 25 | 7 | 8 | 10 | 32:32 | 29 |
| კატანია | 25 | 8 | 4 | 13 | 28:39 | 28 |
| ბარი | 25 | 5 | 12 | 8 | 22:25 | 27 |
| ნაპოლი | 25 | 5 | 10 | 10 | 26:35 | 25 |
| კოზენცა | 25 | 6 | 5 | 14 | 20:32 | 23 |
| სალერნიტანა | 25 | 4 | 6 | 15 | 18:42 | 18 |

### ჩეხეთი

**XIX ტური**

**სიგმა 1:0 ბანიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 19 | 13 | 3 | 3 | 34:9 | 42 |
| სლავია | 19 | 11 | 7 | 1 | 38:12 | 40 |
| ტეპლიცე | 19 | 10 | 3 | 6 | 23:19 | 33 |
| ლიბერეცი | 19 | 10 | 2 | 7 | 28:27 | 32 |
| ბანიკი | 19 | 9 | 4 | 6 | 29:21 | 31 |
| ჟილკოვი | 19 | 9 | 4 | 6 | 27:25 | 31 |
| სინოტი | 18 | 8 | 5 | 5 | 22:19 | 29 |
| პრჟიბრამი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:19 | 24 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 7 | 3 | 9 | 25:32 | 24 |
| ბლშანი | 19 | 6 | 3 | 10 | 17:22 | 21 |
| იაბლონეცი | 19 | 4 | 9 | 6 | 20:28 | 21 |
| ზლინი | 19 | 5 | 6 | 8 | 20:29 | 21 |
| ბრნო | 19 | 5 | 5 | 9 | 20:23 | 20 |
| სიგმა | 18 | 4 | 5 | 9 | 16:21 | 17 |
| ბოჰემიანსი | 19 | 3 | 6 | 10 | 27:41 | 15 |
| ჰ. კრალოვე | 19 | 1 | 9 | 9 | 15:36 | 12 |


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



UAB "Biljardai"

Zeus Company

Biljardai

ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელების



saluc

Master

კონსულტაციები, გარანტია

ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია

ტ. 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46



ირლანდიელ მიკ მაკარტის (შუაში) და ალბანელ სულეიმან დემოლარის პორტუგალიაში აღარაფერი ესაქმებათ, ალექსანდრე ჩივაძეს კი ევროპის თასისთვის ხელი ჯერ არ გაუშვია

# პორტუგალიამ 15 უცნობს დრო და ადგილი დაუთქვა

მაშ, ასე: 2004 წლის 12 ივნისს, პორტუს „დაშ ანტაშზე", თბილისის დროით 21 საათზე, ევროპის ჩემპიონატის გახსნის მატჩში პორტუგალიის ნაკრები საქართველოს შეხვდება... ვისაც ამის სჯერა, მისი ნებაა, ხოლო ვინც ეჭვის თვალით შემოგვხედავს, მათ მოვახსენებთ, რომ ყველაფერი სწორედ ეგრე იქნება, მხოლოდ პორტუგალიის ნაკრების მეტოქის ვინაობაა ჯერჯერობით უცნობი. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვსურდა, რომ პორტუში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე ევრო 2004-ის განრიგი გამოქვეყნდა და ამასთანავე ორგანიზატორებმა ქვეყნის იმ ათ სტადიონთან გააფორმეს კონტრაქტები, რომლებიც შეჯიბრებას უმასპინძლებენ.

ქვემოთ წარმოდგენილი განრიგი საორგანიზაციო კომიტეტმა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან და ევროპის სამაუწყებლო კავშირთან შეათანხმა, რის მერეც განრიგი უეფას ტექნიკური განვითარებისა და ეროვნულ ნაკრებთა კომიტეტებმა დაამტკიცეს.

ცერემონიალზე უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა თქვა: „სასიამოვნოა, რომ ორგანიზატორებმა უკვე გააფორმეს კონტრაქტები სტადიონებთან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს პორტუგალიელთა სურვილს, მაქსიმალურად კარგად მოემზადონ ჩემპიონატისთვის".

პორტუგალიური ფეხბურთის თავკაცმა და იმავდროულად საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჟილბერტუ მადაილმა კი დასძინა, გაწეული სამუშაოს მოცულობით და ხარისხით დიდად ვამაყობთო.

ევროპის წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, განრიგში ერთი სიახლეა: კერძოდ, მეოთხედფინალური შეხვედრები ოთხ დღეზე გაიჭიმება, ანუ დღეში მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდება. აქამდე ორი მეოთხედფინალური მატჩი ერთ დღეს იმართებოდა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპი 2003 წლის ოქტომბერში დასრულდება. ჯგუფების ათი გამარჯვებული პირდაპირ შეუკვეთავს პორტუგალიაში გასამგზავრებელ ბილეთებს, ხოლო მეორეადგილოსნები ხუთ საპლეიოფო წყვილს შექმნიან. მეთექვსმეტე გუნდი პორტუგალიაა, რომელიც A ჯგუფში პირველ ნომრადაა განთესილი და გახსნის მატჩში მის ჯგუფში მეორე ნომრად განთესილს შეხვდება.

ჯგუფური ეტაპის მატჩები თბილისის დროით 21 საათზე და 23.45 საათზე დაიწყება. მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის შეხვედრები 23.45 საათზე, ხოლო ფინალი, ლისაბონის „და ლუჟზე", 4 ივლისს, 24.45 საათზე დაიწყება.

**გიორგი დარჯანია**

## ევრო 2004-ის განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.06 | A ჯგუფი | I ტური | პორტუ, ფარუ |
| 13.06 | B ჯგუფი | I ტური | ლეირია, ლისაბონი |
| 14.06 | C ჯგუფი | I ტური | გიმარაეში, ლისაბონი |
| 15.06 | D ჯგუფი | I ტური | ავეირუ, პორტუ |
| 16.06 | A ჯგუფი | II ტური | პორტუ, ლისაბონი |
| 17.06 | B ჯგუფი | II ტური | კოიმბრა, ლეირია |
| 18.06 | C ჯგუფი | II ტური | ბრაგა, პორტუ |
| 19.06 | D ჯგუფი | II ტური | პორტუ, ავეირუ |
| 20.06 | ფ ჯგუფი | III ტური | ფარუ, ლისაბონი |
| 21.06 | B ჯგუფი | III ტური | კოიმბრა, ლისაბონი |
| 22.06 | C ჯგუფი | III ტური | გიმარაეში, პორტუ |
| 23.06 | D ჯგუფი | III ტური | ბრაგა, ლისაბონი |
| 24.06 | 1/4 ფინალი | A1-B2 | ლისაბონი |
| 25.06 | 1/4 ფინალი | B1-A2 | ლისაბონი |
| 26.06 | 1/4 ფინალი | C1-D2 | ფარუ |
| 27.06 | 1/4 ფინალი | D1-C2 | პორტუ |
| 30.06 | 1/2 ფინალი | 1-3 | ლისაბონი |
| 01.07 | 1/2 ფინალი | 2-4 | პორტუ |
| 04.07 | ფინალი | | ლისაბონი |

# თაფლიანი ტოტი...

## ფრანჩესკომ ილარისთან დოლ-გარმონივით ააწყო



**ფრანჩესკო ტოტის** დანახვაზე ქალთა მოდგმა თმას რატომ იწეწავს? ვითომ, თმის ძირების სიმაგრეს ამოწმებენ? რით ხიბლავს რომაელი მანდილოსნებს? შეიძლება იმით, რომ დროდადრო თმებს ყურებზე ნატიფი თითებით გადაიწყობს, ან კიდევ მეტოქესთან შეჯახებამდე ბალახზე ლამაზად წამოწოლით. ბევრს კი მოსწონს, მაგრამ ხელი ყველას არ მიუწვდება.

ერთი წლის წინ, მარტში, ფრანჩესკო ტოტი დისკოთეკაზე შეღრღეტდა. გოგო ნახა, გულში ჩაუვარდა. იცეკვეს, გაიცნო, მერე ბილეთი აჩუქა. არა, კინოში არ დაუპატიჟია, გიჟმაჟ რომაულ დერბიზე მიიწვია. „ლაციო" — „რომას" ხვდებოდა.

ცეკვისას გაცნობილს ილარი ჰქვია, გვარად — ბლაზია. 28 აპრილს 22 წლის გახდება. შეძლებული ოჯახის შვილია, უმაღლესი განათლებით. მომხიბლავი იტალიელი ერთ-ერთი ტელეშოუს („პოლე ჩუდეს"-ის მსგავსი) წამყვანის ასისტენტია. ტელევიზიაში კონკურსით მოხვდა, ასში აარჩიეს. ილარის მეტსახელად „ლეტტერინა" შეარქვეს. ასე ჰქვია მის როლს ტელეშოუში.

ილარი ბლაზი სრულიად იტალიამ ნახა. როგორც ხშირად ხდება, მას ფოტომოდელობა შესთავაზეს. გოგოს დიდხანს არ უფიქრია, დათანხმდა. მალე მისმა შიშველმა სხეულმა ეროტიკული ჟურნალების ყდით მთელი იტალია შემოიარა.

რომაულ დერბის დავუბრუნდეთ. ბედი არ გინდა? ტოტიმ კი დაპატიჟა, მაგრამ ილარი... „ლაციოს" ქომაგი გამოდგა. ფრანჩესკოს საქმე სამკითხაოდ გაუხდა: მოვა? არ მოვა? მივიდა. ილარი ბლაზი „სტადიო ოლიმპიკოზე" სწორედ „პუპონეს" სანახავად მივიდა. ფრანჩესკოს „პუპონე" იტალიელმა ქალებმა შეარქვეს. ტოტიმ შეიტყო, რომ ის იქ იყო. თუ გახსოვთ, მატჩი „რომამ" 5:1 მოიგო. მართალია, ხუთიდან ოთხი ვინჩენცო მონტელამ გაიტანა, მაგრამ მეხუთე ფრანჩესკომ მიითვალა, თან საკმაოდ ლამაზი გოლი იყო. „პუპონემ" გატანილი გოლის შემდეგ ტრიბუნასთან მიირბინა, სატრფოს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და შიდა მაისურზე დაწერილი გამოაჩინა: „შენ განუმეორებელი ხარ!".

ჟურნალისტებმა უმალ გამოქექეს გზავნილის ადრესატი, მიუხედავად იმისა, რომ ტოტი-ბლაზის სიყვარულის ამბავი მაშინ ძალიან ცოტამ თუ იცოდა. ფეხბურთზე მწერლებმა ეს რომ შეიტყვეს, იმ მატჩში ტოტის ბრწყინვალე თამაში, მშვენიერი ბლაზის სტადიონზე ყოფნით ახსნეს.

სუსტი სქესის ყურადღება ფრანჩესკო ტოტის კარიერის დაწყების დღიდან არ აკლდა. განვლილი მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ერთ-ერთმა იტალიურმა გაზეთმა გამოკითხვისთვის მოიცალა. 800 ქალი „დაკითხეს". კითხვები მრავალნაირი იყო, მაგალითად, ასეთი: იტალიის ნაკრების რომელი ფეხბურთელი იქნებოდა თქვენთვის იდეალური მეუღლე ან იდეალური საყვარელი? ნომინაციაში — „ვის ვერ ეტყოდით უარს?" — ფრანჩესკო ტოტიმ „ცისფერი გუნდის" დანარჩენ ფეხბურთელებს აჯობა. გამოკითხულთა მეოთხედმა ბრძანა, რომ „პუპონეს" პირველივე თხოვნაზე საწოლში ჩაუგორდებოდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ფრანჩესკოს სატრფო მარია მაცა იყო. ერთურთის სიყვარული ქალ-ვაჟს არასოდეს დაუმალავთ. მარია ტოტის მშობლებთან ერთად ევროპის 2000 წლის ჩემპიონატსაც კი დაესწრო, მაგრამ მერე მათი ურთიერთობა ვერ აეწყო და გაცივდა.

2001-ის ივლისში კუნძულ სარდინიაზე „პუპონე" სამანტა დე გრენესთან ნახეს და პაპარაცებმა უცბად ჩაჩხაკუნეს. საქმე ისაა, რომ იმავე წლის გაზაფხულზე სამანტა ფილიპო ინძაგის ეფიცებოდა სიყვარულს, ტოტისთან კი დასეირნობდა. ეს ამბავი „რომას" ტიფოზებმა უმალ დაიხვიეს მკლავზე, ნახეთ, ჩვენმა „პუპონემ" თქვენს „პიპოს" ქალი როგორ აალიტაო.

მალე ტოტის სამანტაც მოსწყინდა. მერე სხვებს გაეარშიყა. რიგში ჩადგნენ იტალიელი მსახიობები: ფლავია ვენტო, მანუელა არკური, ანტონელა მოზეტი, მაგრამ ფეხბურთელმა მათთან ნავსაყუდელი ვერ ნახა. ახლა ილარი ბლაზისთან არის და თავს კარგად გრძნობს. როცა ილარის ტოტის შესახებ ეკითხებიან, ყოველთვის პასუხობს: „ფრანჩესკო? ის შესანიშნავია! ჩვენ გადასარევად ავაწყეთ!"

ერთადერთი, რაც მათ ურთიერთობას ამუხრუჭებს, მანძილია. ტოტი რომშია, ბლაზი — მილანში. შარშან ზაფხულში ილარი სატრფოს საქომაგოდ იაპონიაში ჩავიდა. ჯგუფში მეორე ადგილზე გასული „სკუადრა აძურა" იაპონიიდან კორეაში გადაბარგდა და ილარი იტალიაში დაბრუნდა. მისი წასვლა და „პუპონეს" დათარსვა ერთი იყო. ეკვადორელმა ბაირონ მორენომ ტოტი სამხრეთ კორეასთან მერვედფინალურ მატჩში გააძევა, ჯოვანი ტრაპატონის გუნდი კი ილარი ბლაზის გაჰყვა სამშობლოში.

**ვაჟა ხუციშვილი**







# ინტერნაციონალური ოცნება
## კლუნი — ბექემი — ვერსაჩე

**ცხადია**, ჯამში სადღაც 80 მილიონი დოლარის მფლობელ ოჯახს ბინის ყიდვა არც მილანში გაუჭირდება და არც ვაკეში, მაგრამ...

მილანის მოდის კვირეულზე ჩასულმა ვიქტორია ბექემმა დრო უქმად არ დაკარგა და უძრავი ქონების იქაურ პრესტიჟულ სააგენტოს ერთი კარგი სახლის შერჩევა სთხოვა, ასე 3 მილიონი დოლარის ფარგლებში.

ეს კიდევ არაფერი: თუ იტალიურ გაზეთებს დავუჯერებთ (მათ შორის, ერთ-ერთ ყველაზე სოლიდურ „ილ მესაჯეროს"), „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველის დევიდ ბექემის მომღერალი მეუღლე თვით „ინტერის" პრეზიდენტს, მასიმო მორატის შეხვედრია და საყვარელი ქმრის შესაძლო ტრანსფერზეც უსაუბრია. როგორც ამბობენ, მორატი დაყაბულდა, ბექემს ყოველწლიურად 10 მილიონი დოლარი გადაუხადოს, თუ ინგლისელი ვარსკვლავი მის კლუბში ითამაშებს. სწორედ ამის შემდეგ მიუკითხავს პოშ-სფაისს უძრავი ქონების სააგენტოსთვის.

ეს რომ ჭორი არაა, ამ სააგენტოს თანამშრომელმა ფლავია ფაბიანიმ დაადასტურა გუშინწინ საღამოს: „დიახ, ჩვენ ვიქტორია ბექემმა მოგვმართა და სასურველი სახლიც უკვე შევარჩიეთ. ეს კომოს ტბასთან მდებარე გადასარევი ვილაა. თანაც, მეზობლად, ერთ მხარეს ჯორჯ კლუნის სახლია, მეორეზე — ვიქტორიას ახლო მეგობრის, დონატელა ვერსაჩესი. ვფიქრობთ, კლიენტი კმაყოფილი დარჩება".

გაგრძელება უეჭველად იქნება.

**გიგა ძოგახიძე**

# დახეთ, ჩემპიონმაც გაიტანა



REUTERS

ინდეპენდიენტე — რასინგი. ლუკას პუსინერომ სტუმართა ჩილელი მილოვან მიროშევიჩი დასაყრდნობად გამოიყენა

## არგენტინა
### კლაუსურა

**მე-4 ტური:** ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 0:2; რივერ პლეიტი — ჩაკარიტა ხუნიორსი 2:1; ინდეპენდიენტე — რასინგი 1:1; ნუევა ჩიკაგო — ხიმნასია 4:1; ტალიერესი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:0; უნიონი — ლანუსი 1:1; ურაკანი — კოლონი 2:3; არსენალი — ველეს სარსფილდი 1:0; როსარიო სენტრალი — ოლიმპო 2:1; ბანფილდი — სან ლორენსო 1:1

**კლაუსურას** მეოთხე ტურში პირველი ქულა მოიპოვა აპერტურას ჩემპიონმა „ინდეპენდიენტემ", რომელმაც „აველანედას" მინდორზე უმასპინძლა „რასინგ კლუბს". მეტროპოლიის ერთ-ერთი კლასიკო ფრედ 1:1 დასრულდა, თუმცა, „ინდეპენდიენტე" კვლავ დარჩა ცხრილის ბოლო საფეხურზე, ასევე მაჩანჩალა „ურაკანთან" უარესი ბურთების გამო. აქვე მოგახსენებთ, რომ „კოლონთან" 2:3 მარცხის შემდეგ გადადგა „ურაკანის" მწვრთნელი, წარსულში დიდი არგენტინელი ფეხბურთელი კარლოს „ინლეს" ბაბინგტონი.

ოსვალდო არდილესის თავკაცობით მოთამაშე „რასინგმა" ცხრილის პირველი საფეხური ასევე ბურთების უარესი სხვაობით „როსარიო სენტრალს" დაუთმო, რომელიც წინა აპერტურაშიც, ოთხი ტურის თავზე, ლიდერი იყო.

ბუენოს აირესის ორმა დიდმა „ბოკამ" და „რივერმა" თავთავიანთი მატჩები მოიგეს. „ბოკა", რომელმაც ლა პლატის „ესტუდიანტესი" დაამარცხა 2:0, ქულითღა ჩამორჩება მოწინავეებს.

„ინდეპენდიენტე" — „რასინგის" მატჩში კი ანგარიში რასინგელმა დიეგო მილიტომ გახსნა უკვე 11-ე წუთზე. მილიტო არგენტინის ნაკრების ახალწვეული გახლავთ. საპასუხო გოლი მეორე ტაიმში გავიდა, იგი ანდრეს სილვერამ გაიტანა, რომელიც შარშან აპერტურას მთავარმეგოლე იყო 16 ბურთით. ეს გამოდგა „ინდეპენდიენტეს" პირველი გოლი კლაუსურაში.

„ბოკამ" კი თამაშის პირველ შვიდ წუთში გაუტანა ორი გოლი ლაპლატელებს. ეს გოლები მარკოს ანხელესის და ხავიერ ველარიალის ანგარიშზეა.

„რივერმა" ბოლო წუთზე გამოგლიჯა გამარჯვება „ჩაკარიტას" ახალნაყიდი ორასიო ამელის წყალობით. თამაშში ორივე ბურთი „რივერის" ახალშენაძენთა ანგარიშზეა — პირველი კლაუდიო უსაინმა შეაგდო. ისიც და ამელიც მილიონერთა ახალმა მწვრთნელმა, ჩილელმა მანუელ პელეგრინიმ წინა კვირაში შეიძინა. „რივერი" სამი ქულითღა ჩამორჩება ლიდერებს.

კლაუსურაში პირველად წააგო „ველეს სარსფილდმა", რომელიც მეოთხე ადგილზე ჩამოვარდა. „ველესი" სილვიო გონსალესის პენალტით დაამარცხა წამოქაჩულმა „არსენალმა", რომელსაც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ხორხე ბურუჩაგა წვრთნის.

„ნუევა ჩიკაგომ" 4:1 მოუგო ლაპლატის „ხიმნასია იესგრიმას", თანაც ისე, რომ შეხვედრის პირველ 50 წუთს აგებდა იმ პენალტით, ურუგვაელმა გილერმო სანგინეტიმ რომ გაიტანა.

### ონორიო ბუსტოს დომეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| რასინგი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ველესი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| უნიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ოლიმპო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| ნუევა ჩიკაგო | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| რივერ პლეიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| კოლონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ესტუდიანტესი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ოლდ ბოიზი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| ხიმნასია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:9 | 5 |
| ლანუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ტალიერესი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| სან ლორენსო | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| ბანფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ჩაკარიტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| ურაკანი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაცია პოლიციასთან ერთად ეძებს იმ ხულიგანს, რომელმაც ასოციაციის თასზე „არსენალ" — „ჩელსის" მატჩის დროს ტრიბუნიდან ნასროლი მონეტით მეთოფე თავდამსხმელ ტიერი ანრის ტრავმა მიაყენა. ვიდეოფირის მრავალჯერ დატრიალებისას დადგინდა, რომ მონეტა ნასროლია იმ ტრიბუნიდან, სადაც „ჩელსის" ფანები იყვნენ განთავსებულნი.

**ფრანგი მეკარე ბერნარ ლამა შესაძლოა კვლავაც ფეხბურთს დაუბრუნდეს. ინგლისური „ბირმინგემის" მწვრთნელი სტივ ბრიუსი პირადად შეხვდა 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეს და ნისლიან ალბიონზე გადაბარგება სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე სთხოვა. ლამას პასუხი უცნობია. 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი ბერნარ ლამა წლეულს, ზაფხულში, 40 წლის გახდება. საფეხბურთო კარიერის დასრულებისთანავე მეკარე ჯერ ფილიპ ტრუსიეს თანაშემწე გახლდათ იაპონიის ნაკრებში, მერე კი პროფესია შეიცვალა და ერთ-ერთ სააგენტოში მოდელადაც კი მუშაობდა.**

**იტალიურ** „პარმას" „ემპოლის" თავდამსხმელის ანტონიო დი ნატალეს გადაბირება სურს. 26 წლის ფორვარდს „მილანიც" ეკურკურება, თუმც „პარმას" ტექნიკურ დირექტორ არიგო საკის ფეხბურთელი „როსონერისთვის" არ ემეტება. დი ნატალეს „მილანის" ძირითადში მოხვედრა ერთობ გაუჭირდება, იქ შევჩენკო, რივალდო, ინძაგი და ტომასონი არიან და აჯობებს, ანტონიო „პარმაში" გადმოვიდეს, „ენიო ტარდინიზე" მუდმივად თამაშიც გარანტირებული ექნებაო, ამბობს საკი.

**ინგლისური ტაბლოიდი „დეილი მეილი" გვატყობინებს, რომ თუ სეზონის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედი" უტიტულოდ დარჩა, მას ახალი სეზონიდან სერიოზული საკადრო ცვლილებები ელის. მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს თურმე უკვე ჩამოუწერია იმ ფეხბურთელთა გვარები, რომელთა ხილვასაც წითური შოტლანდიელი ემურება. ტოტენჰემელი მარჯვენა ნახევარმცველი საიმონ დევისი, „სანდერლენდის" ფრანგი ფორვარდი დავიდ ბელიონი, ასევე ფრანგი მცველი ჟულიენ ესკუდე „რენიდან" და ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი, აქედან ყველა თუ არა, უმრავლესობა მანჩესტერელი გახდებაო, წერს „დეილი მეილი". მისივე ცნობით, ფერგიუსონისთვის მხარი კაპიტან როი კინს აუბამს და უთქვამს, თუ მართლა ეგრე მოხდა და „იუნაიტედი" მართლაც უტიტულოდ დარჩა, გუნდს ბევრი ფეხბურთელი დატოვებსო.**

**ტრინიდადის და ტობაგოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 21 წლის მარვინ ლი ქალაქ არიმას ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მარვინ ლიმ საფეხბურთო კარიერა ძალიან ადრე დაასრულა, 2001 წელს ტრინიდადის და აშშ-ის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩისას ლი თანატოლ ლანდონ დონოვანს შეეჯახა, კისერი საშინლად დაიზიანა და მას შემდეგ დაინვალიდდა. ფეხბურთელის დედის თქმით, მის შვილს სუნთქვა შინ ყოფნისას შეუჩერდა. კლინიკაში სასწრაფოდ კი გააქანეს, მაგრამ ექიმებმა ველარ გადაარჩინეს.

**იტალიური „იუვენტუსი" სულ მალე კონტრაქტს გაუფორმებს 20 წლის ფრანგ ცენტრალურ მცველ ფილიპ მექსესს. მექსესი „ოსერში" თამაშობს და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიცაა. „იუვეს" წარმომადგენელთა თქმით, მექსესმა თუ გუნდის ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, უმალ „რეჯინაში" ან „სამპდორიაში" გაანათხოვრებენ, ადაპტაციისთვის უკეთესი იქნება და იტალიურ ფეხბურთსაც შეეგუებაო.**

**ესპანელმა** თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა განაცხადა, რომ მადრიდის „რეალის" დატოვებას არ აპირებს და ახლა უმთავრესი მისთვის ძირითადში ადგილის დაბრუნებაა. „აქ ექვსი დაუვიწყარი წელი გავატარე. „რეალმა" სახელი, ტიტულები მომიტანა. ცხადია, ყველა ნორმალურ ფეხბურთელს მუდმივად ძირითადში თამაში სურს, მეც ასე ვარ, მაგრამ ყველაფერს ხომ მწვრთნელი წყვეტს, „რეალში" ახლა მართლაც რომ მაგარი თანავარსკვლავედია შეკრებილი. მე ჩემსას მაინც ვეცდები" — ამბობს მორიენტესი.


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.
ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78
სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# დემეტრაძე უკრაინაში საუკეთესოდ დაბრუნდა

*გიორგი დემეტრაძე უკრაინაში რიხით დაბრუნდა. შაბათს უკრაინაში ჩემპიონატი განახლდა და ჩვენებური თავდამსხმელი ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს*



დემეტრაძისა და გოჩა ჯამარაულის დონეცკის „მეტალურგმა" მეორე წრის პირველ მატჩში „ვორსკლას" ქალაქიდან მოშორებით, გაყინულ მოედანზე უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. დემეტრაძემ ჯამარაულის ჩინებული პასით და ასეთივე გოლით „მეტალურგი" მატჩის დასაწყისშივე დააწინაურა, მერე კი დემეტრაძისვე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმით იხეირეს დონეცკელებმა. ტურის საუკეთესო ფეხბურთელი და უმაღლესი შეფასება უკრაინელებისგან — აი, ასეთი წარმატებული გამოდგა გიორგი დემეტრაძისთვის დებიუტი.

— ძალიან გახარებული ვარ, რომ უკრაინაში დაბრუნება ჩემთვის ასეთი იღბლიანი გამოდგა. ქომაგმა ძალიან თბილად მიმიღო. მათგან ყურადღება ჯერ არ მომკლებია და ვიმედოვნებ, ასევე გაგრძელდება — გვითხრა გიორგიმ, როცა დონეცკში დავუკავშირდით — ქომაგს მადლობა ჩემი კარგი თამაშით გადავუხადე, გოლიც გავიტანე და სხვასაც გავატანინე. საჯარიმოსთან ახლოს წამაქციეს და პარტნიორმა იმ ჯარიმიდან დარტყმულით მეკარეს ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა. თანაც პირველ ტაიმში გაყინულ მოედანზე ფეხის ნეკა თითი ისე მწარედ ვიტკინე, ვიფიქრე, მოტეხილია-მეთქი, თუმც შესვენებაზე ექიმებმა გამსინჯეს, დამამშვიდეს და თამაში გავაგრძელე. ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ, თანაც „მეტალურგი" ისეთ ფეხბურთს თამაშობს, როგორსაც მე ვამჯობინებ.

ჩვენ სხვა უკრაინული გუნდებისგან განსხვავებით, 3-5-2 სქემით ვთამაშობთ და შეტევაში მეტ დროს ვატარებთ. თავდასხმაში ჩემი მეწყვილე ილია სტოლიცაა. ისიც ახლახან იყიდა „მეტალურგმა", ალღოიანი ფორვარდია და ერთმანეთის კარგად გვესმის. პასებით კი ჯამარაული და მოსკოვის „სპარტაკიდან" ნაყიდი ციხმეისტრუკი გვამარაგებენ. მოკლედ, „მეტალურგი" საკმაოდ ძლიერი გუნდია, თუმც ჩვენი ძალა უფრო სანაკრებო მატჩების მერე, აპრილში გამოჩნდება. ჯერ კიევში, „დინამოს" უნდა ვესტუმროთ, შემდეგ კი დონეცკური დერბია, „შახტართან". კიეველ ყოფილ თანაგუნდელებთან შეხვედრა უკვე მოვასწარი, „მეტალურგი" ჰოლანდიაში იყო შეკრებაზე და „დინამოც" ჩვენთან ახლოს იყო დაბინავებული.

**ძოგა ინასარიძე**

# მაისამდე ოსეთია... მერე ალბათ თურქეთი

## რუსულმა პრესამ აშვეთია ვერ გააკვირვა

*სამიოდ დღეა, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ" თურქული საწვრთნელი შეკრება დაასრულა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ოსები გამალებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის. მათი მთავარი იმედი კი ქართველი თავდამსხმელი, 24 წლის მიხეილ აშვეთიაა.*

*საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატი „სპარტაკ-ალანიაში" საწვრთნელი შეკრების დროსაც ყველასაგან გამოირჩეოდა და აკი რუსმა ჟურნალისტებმა მოსამზადებელი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.*

*რუსული პრემიერლიგის ქართველი მეგოლე ვლადიკავკაზში დარჩენას მაისამდე აპირებს, მერე კი...*

*დანარჩენზე თავად მიხეილ აშვეთიასგან გაიგებთ, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ*

**— რას იტყვი თურქეთულ საწვრთნელ შეკრებაზე?**

— ნორმალური პირობები იყო. კარგად მოვემზადეთ, თუმც თურქული შეკრების ნაყოფიერებას ჩემპიონატი გამოაჩენს.

**— რუსმა ჟურნალისტებმა მოსამზადებელი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში შეგიყვანეს...**

— ეს მეც გავიგე და ძალიან გამიხარდა. თურქეთში თითქმის ყველა ამხანაგურ მატჩში გავიტანე გოლი და სიმბოლურში ჩემი დასახელება მოულოდნელიც არ იყო.

**— კლუბის ხელმძღვანელობამ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა დაგისახათ მიზნად...**

— ჰოდა, ეს უნდა მოვახერხოთ.

**— შენი აზრით, „სპარტაკ-ალანიას" შეუძლია ამის მიღწევა?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვი. ვნახოთ, როგორ დავიწყებთ ჩემპიონატს. ბევრი რამ სწორედ სტარტზეცაა დამოკიდებული. ჩვენ ცდას ნაღდად არ დავაკლებთ.

**— ალბათ, ბომბარდირობაზეც იფიქრებ...**

— თავდამსხმელის საქმე გოლის გატანაა, თუმც ბომბარდირობაზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია.

**— თანაც მაისის შემდეგ, ალბათ, რუსეთში არ იქნები. ვიცით, რომ ცოტა ხნის წინ თურქული კლუბი დაინტერესდა შენით.**

— ეს საქმე არ გამოვიდა. პირველ წრეს რუსეთში ვითამაშებ. მერე კი ვნახოთ...

**— იმ კლუბის ვინაობას ხომ არ გაგვიმხელ?**

— ჯერჯერობით ვერ გეტყვი. ეს ტრანსფერი მაისამდე გადაიდო და არ მინდა, წინასწარ ვილაპარაკო. ისე, ჩემი მსურველი კლუბი ამჟამად ხუთეულშია თურქეთის ჩემპიონატში.

**— როდის დაინტერესდნენ შენით თურქები?**

— როგორც ვიცი, მათ მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში მოვეწონე. ამის შემდეგ დაიწყო ჩემს გადაბირებაზე ლაპარაკი, თუმც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა.

**— ესე იგი, დიდი შანსია, მაისში თურქეთში გადახვიდე და დანიურ „კოპენჰაგენში" არ დაბრუნდე?**

— ახლა ისედაც „სპარტაკ-ალანიაში" ვარ განათხოვრებული, ამიტომ არა მგონია, დანიელებმა ამ ეტაპზე ჩემი დაბრუნება მოისურვონ. თან არაერთხელ მითქვამს, „კოპენჰაგენში" სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად არ დავბრუნდები. თურქებს თუკი მართლა სურთ ჩემი გადაბირება, ცხადია, დანიელებთან მოუწევთ საქმის დაჭერა.

**— ნაკრებიდან ხომ არ შეგხმიანებია ვინმე?**

— არა. თუ მზად ვიქნები, ალბათ, გამომიძახებენ. ჯერჯერობით კი არავინ შემხმიანებია.

**ბაჩა ზალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია თურქულმა შეკრებამ რუსეთში დააწინაურა

## დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. წილისყრა**

# ვისი სული გსურს

## დინამოს ვიტ ჯორჯია არ ეპიტნავა, დილას ტორპედო ეამა

*ერთ პატარა თასში ერთი წვრილფეხა და შინდი „ვეშაპი" ერთად მოაქციეს, მერე სათითაოდ გამოიძახეს და ვინ უფრო ქუდბედიანი გამოდგა, თავად განსაჯეთ. თასის გათამაშების მეოთხედფინალში „დინამოს" „ვიტ ჯორჯია", „ტორპედოს" „დილა", „ლოკომოტივს" „მილანი", ხოლო „სიონს" პირველლიგელი „სპარტაკი" ერგო.*

წილისყრის შემდეგ ქუთაისური, რკინიგზული და ბოლნისური კლუბის წარმომადგენლები ისე გამოიყურებოდნენ, იფიქრებდით, უკვე ნახევარფინალში გასულანო. „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" მესვეურები ჩაფიქრებულნი ტოვებდნენ ფეხბურთის ფედერაციას. ხუმრობა საქმე როდია, 24 დღეში ათგზის ჩემპიონი და ოდინდელი ვიცე-ჩემპიონი სამჯერ ითამაშებენ ერთმანეთში.

„დინამოს" „ვიტ ჯორჯია" მეოთხედფინალში აქამდეც გადაყრია. შარშანწინ თემურ მახარაძის ვეტერინარებმა ათგზის ჩემპიონი „ეროვნულზე" 1:0 დაამარცხეს, ამას მცხეთაში უგოლო ფრე მოაყოლეს და ნახევარფინალსაც უწიეს. იქ კი „ვიტ ჯორჯია" „ტორპედოს" დაეჩაგვრინა.

საერთოდ, ბოლო დროს ვიტელები ძალიან გაუთამამდნენ ყოფილ ჩემპიონებს და ურთიერთშეხვედრებში ხშირად ჯაბნიან კიდეც, მაგრამ შუშაკის „დინამო" რომ ძლიერია, ყველამ იცის. არც კარნევალის „ვიტ ჯორჯია" გახლავთ გემრიელი ლუკმა, ამიტომ ხორვატიც და იტალიელიც მეოთხედფინალში მეტოქედ სხვა, უფრო სუსტ გუნდს ისურვებდნენ, თუმც ბედისწერამ ისინი ერთმანეს შეყარა.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:* ყველაზე არასასურველი და უხერხული მეტოქე გვერგო, მაგრამ ეს ხომ წილისყრაა, სადაც მოწინააღმდეგეს ვერ ამოირჩევ. ძალიან დაძაბული მატჩები გველის. რა თქმა უნდა, ვაფასებ „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს და ხელმძღვანელებს, ძალიან კარგი გუნდია, თუმც სადღეისოდ „დინამო" უფრო ძლიერია და ვიმედოვნებ, ნახევარფინალშიც ჩვენ ვითამაშებთ.

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:* „დინამოს" მეტოქედ ფინალში უფრო ვისურვებდი, ახლა კი ორი კარგი გუნდიდან ერთი განწირულია. ამბობენ, რომ შეიძლებოდა, უფრო სუსტი მეტოქე შეგვხვედროდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ნახევარფინალში გადააწყდები დიდ წინააღმდეგობას თუ მეოთხედფინალში, ჩვენი ხომ უნდა დავამტკიცოთ?!

დღეს მე ვერაფერს მოგახსენებთ სანახევარფინალო შანსებზე. ახლა 14 მარტის ბოლნისურ დაპირისპირებაზე ვართ გადართულები, „დინამოზე" კი შაბათიდან ვიფიქრებ.

გუშინდელმა წილისყრამ კიდევ ერთი სათასო ნაცნობები დააპირისპირა — ქუთაისური „ტორპედო" და გორის „დილა", აქამდე ორჯერ, მერვედფინალში დაწყვილებულან. თასის პირველ გათამაშებაში რიონისპირელებმა შინ სამი უპასუხო გოლით დაამარცხეს შიდაქართლელები, ხოლო სტუმრად 2:1 წააგეს და მომდევნო ეტაპზეც უპრობლემოდ გაღწიეს. „დილამ" სარევანშოდ ექვსი გათამაშება იცადა და საწადელი მერვეში აისრულა. გორელებმა ცხონებული მახარე მინდიაშვილის ჰეთ თრიქით 3:1 მოუგეს ქუთაისელებს და სტუმრადაც ოდენ 0:0-ს დააჯერეს.

ცოტა უცნაურიც კია, მაგრამ წილისყრამდე ქართლველებს სწორედ „ტორპედოს" მეტოქეობა ეწადათ. რიონისპირელებთან შინ ხშირად წარმატებით ვბურთაობთ და ქუთაისიდანაც რამდენჯერმე წამოვსულვართ გახარებულიო.

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:* ამ ეტაპიდან ყველა გუნდი თავდაუზოგავად იბრძვის, მეოთხედფინალიდან ფინალამდე ხომ არც ისე დიდი გზაა გასავლელი. გამიგონია, „დილა" თავისებური, ჯიგრით გამორჩეული გუნდიაო. ამიტომ გორელებთან თამაშს მთელი სერიოზულობით მოვეკიდებით. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა თასის მოპოვებაც გახლავთ და იმედია, ნახევარფინალშიც „ტორპედო" ითამაშებს.

*ზურაბ ხორგუაშვილი, „დილას" მწვრთნელი:* „ტორპედო" ჩემპიონია, მის სიძლიერეზე ლაპარაკიც ზედმეტი მგონია, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ რიონისპირელებთან არ შევრცხვებით. ამის თქმის საბაბს მთლიანად გუნდში და კლუბში არსებული ჯანსაღი ვითარება მაძლევს. სადღეისოდ კი შანსები სამოცი ორმოცზეა ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ფინალს, ალბათ, წლეულსაც „ტორპედოსთან" ვითამაშებთ — „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძე წილისყრის შემდეგ რკინიგზელთა გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, თუმც უფრო თავშეკავებული გამოდგა გუნდის პერუელი თავკაცი.

*ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:* მე არ ვფიქრობ, რომ იოლი გასეირნება გველის. იქნებ ჩემი გუნდი ფავორიტად ითვლება, მაგრამ სათასო მატჩებს თავისი დაუწერელი კანონები აქვს და მოულოდნელობებიც ხშირად ახასიათებს. ამიტომ ფეხბურთელებისგან სრულ კონცენტრაციას მოვითხოვ, რათა საბოლოოდ საქმე არ გავირთულოთ.

უხასიათობა არც ბოლნისური კლუბის წარმომადგენლებს ეტყობოდათ, თითქოს მეტოქეც სასურველი გამოუჩნდათ, მაგრამ *თემურ მახარაძე* მაინც ფრთხილი იყო:

— სუსტი მეტოქე ნამდვილად არ შეგვხვედრია. თითქოს გული მიგრძნობდაო, გუშინ ვნახე „სპარტაკ" — „დინამო 2"-ის სამერვედფინალო მატჩი. ახალფეხადგმული გუნდის კვალობაზე „სპარტაკი" დაუღალავად მებრძოლი და მოძრავია. ისინი მოლუნებას არავის აპატიებენ.

მეოთხედფინალის წილისყრა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში მოეწყო, თხუთმეტიოდე წუთში დასრულდა. დამშვიდობებამდე საშეჯიბრო კომიტეტმა პირველი მატჩები 18 მარტს, ხოლო საპასუხოები 10 აპრილს დაამტკიცა. ნახევარფინალის წილისყრაზე კი 11 აპრილისთვის მიგვიპატიჟეს.

**მამუკა ძმანტალიანი**

ლოკომოტივი – მილანი
ტორპედო – დილა
დინამო – ვიტ ჯორჯია
სიონი – სპარტაკი

*ორ ეტაპად გაყოფილი საქართველოს მე-14 ჩემპიონატის მეორე წრე პარასკევს, 14 მარტს განახლდება. უმაღლესლიგელთა საშუასეზონო სამზადისზე შეძლებისდაგვარად კი გატყობინებდით, მაგრამ ახლა უპრიანად მივიჩნიეთ, თითოეულის მოსამზადებელ პერიოდზე ნვრილად გვეთქვა და კლუბთა მწვრთნელ-პრეზიდენტთა ნაფიქრ-ნააზრევიც გაგვეცნო.*

*ქვემოთ თბილისის „დინამოზე", ფოთის „კოლხეთსა" და გორის „დილაზე" მოგითხრობთ*

## დინამო (თბილისი)

# ჩემპიონობა, თასი, ლიგა — არის ასეთი გუნდი დინამო!

*საქართველოს ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო" უკვე წელიწადზე მეტია, ახალი „თბილისის დინამოა".*

*საკმაოდ შეცვლილი სპონსორი, ახალი ხელმძღვანელობა, ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები და, რა თქმა უნდა, შორსმიმავალი მიზნები. ქვეყნის ჩემპიონობა და თასი „დინამოსთვის" უცხო არ არის, თუმცა დაკარგულია და დაბრუნებას წლეულს ესწრაფვის. „დინამოსთვის", როგორც ყველა ქართული გუნდისთვის, უცხო ჩემპიონთა ლიგაა და აქამდე ევროპულ საკლუბო ელიტაში შეღწევა თუ უცდია, არაფერი გამოსვლია. უფრო სწორად რომ ვთქვათ, თბილისელებს იქითკენ ისე სერიოზულად არც კი გაუხედავთ, როგორც ახლა.*

*გია ფირცხალავას ახალ „დინამოში" ახალი თანამდებობა აქვს — აღმასრულებელი დირექტორი. სპონსორსა და კლუბს შორის შუაკაცი ისაა. შინაური საქმეების უმეტესწილზე პასუხისმგებელიც სწორედ ისაა. ზეგ კი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი იწყება.*

*რა როგორაა, რისი იმედი აქვს „დინამოს" უფროსობას, ტიტულების მოხვეჭის გარდა რის გაკეთებას აპირებენ თბილისელები?*



*ჩვენს კითხვებს „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა პასუხობს:*

— ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ და ასევე უნდა გავაგრძელოთ. პირველობას ვერავის დავუთმობთ, ახლა ცხრილის სათავეში ვართ და ვეცდებით, ლიდერობა ბოლომდე შევინარჩუნოთ. მეორე ეტაპის საწყისი სამი-ოთხი მატჩი ბევრს გადაწყვეტს, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

**— გუნდს არც ერთ მოსამზადებელ შეკრებაზე არ ახლდით, თვეზე მეტი „დინამო" უცხოეთში იყო. იქიდან დაბრუნებულ გუნდს აღმასრულებელმა დირექტორმა, რომლის კაბინეტიდანაც სავარჯიშო მოედანი ხელისგულივით მოჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი რა შენიშნა?**

— მეტი პროფესიონალიზმი, საქმისადმი უფრო სერიოზული დამოკიდებულება და, რაც მთავარია, პროგრესი. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნებით. ივო შუშაკი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია და ბიჭებსაც აშკარად ეტყობათ, რომ მისი სჯერათ. ჩვენ, გუნდის ხელმძღვანელებიც კმაყოფილები ვართ მწვრთნელის მუშაობით. „დინამოს" თითოეულ თანამშრომელთან მისი ურთიერთობა ბევრისთვის სამაგალითოა.

**— ხელმძღვანელობა ახსენეთ და, თქვენი მოთხოვნა შუშაკისადმი ხომ არ შეცვლილა? მიზანი იგივე — ჩემპიონთა ლიგაა?**

— დიახ, ასეა. როცა შუშაკს გუნდი ჩავაბარეთ, ის ჩვენს სამწლიან გეგმას დაეთანხმა. წინა სეზონში თუ ჩემპიონები გავხდებოდით და ევროტურნირზე მეტ ეტაპს გავივლიდით, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩემპიონობა ვერ შევძელით და უეფას თასს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვეთხოვეთ. წლევანდელი მიზანი კი შარშანვე დავისახეთ — ჩემპიონობა, ყიფიანის თასი და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში, თუმცა წლეულსვე ლიგაში თუ ვერ მოვხვდით, ჩვენთვის ტრაგედია არ იქნება. აი, გაისად კი შუშაკისგან გუნდის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაყვანას კატეგორიულად მოვითხოვთ. ეს ფეხბურთელებმაც იციან და სჯერათ, რომ ასე იქნება.

**— ბოსნიური შეკრებისას მწვრთნელი გუნდის მეორე შემადგენლობის ერთ-ერთ თამაშით ისე აღშფოთებულა, მეორე დღეს დაგეგმილი მატჩი ჩაუშლია. თბილისში ჩამოსული შუშაკი ამის თაობაზე ალბათ გესაუბრათ...**

— ვისაუბრეთ, თუმცა უფრო ადრე ივო შუშაკი და ჩვენი სპორტული დირექტორი გივი ნოდია ფეხბურთელებს ბოსნიაშივე ესაუბრნენ. მწვრთნელმა და სპორტულმა დირექტორმა მათ აუხსნეს, რითი იყვნენ უკმაყოფილონი და სთხოვეს, საქმისადმი დამოკიდებულება შეეცვალათ. მეორე შემადგენლობაში ბევრი ჭაბუკი ფეხბურთელია და ზოგს იქნებ არც ესმოდა „დინამოს" ფეხბურთელობა რამხელა პასუხისმგებლობას ნიშნავს. შუშაკმა და ნოდიამ ისინი დააფიქრეს და თბილისში ჩამოსულნი სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. აქვე გეტყვით, რომ სეზონის განმავლობაში „დინამოს" შემადგენლობა შეუცვლელი არ დარჩება, ზოგიერთს, ვინც მწვრთნელის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ალბათ გუნდის დატოვება მოუწევს. ეს ბუნებრივი პროცესია.

**— რამდენადაც ვიცით, „დინამოს" სათადარიგო გუნდების შემადგენლობები უკვე შემცირდა.**

— არ შემცირებულა, „დინამო 2"-ის და „დინამო 3"-ის შემადგენლობებში იმ რაოდენობის ფეხბურთელები დარჩნენ, რამდენიც საჭიროა. თითო გუნდში 22-23 ფეხბურთელი იქნება.

**— ზამთრის მოსამზადებელი პერიოდის დაწყებამდე „დინამოში" უცხოელ ფეხბურთელთა დამატებაზე ლაპარაკობდნენ. თბილისში დაბრუნებულ გუნდში კი ახალი არავიან ჩანს. საჭიროდ არ ჩათვალეთ უცხოელთა შეძენა?**

— ზამთრის სატრანსფერო სეზონისას ჩვენი ერთადერთი მიზანი ქუთაისელი მალხაზ ასათიანის გადმობირება იყო, მაგრამ ვერ შევძელით. სხვა ფეხბურთელების მოწვევა არც გვიცდია. ისე კი, უცხოელ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს და არაა გამორიცხული, სეზონის მიმდინარეობისას ისინი „დინამოში" ვიხილოთ.

**— საშუალო ევროპული დონის ფეხბურთელის შეძენას „დინამოს" ჯიბე გასწვდება?**

— მსოფლიოს დონის ვარსკვლავებს ვერ გადმოვიბირებთ, თორემ თუ მწვრთნელს საშუალო ევროპული დონის ფეხბურთელის შეძენა დასჭირდა, მის სურვილს გავითვალისწინებთ და სპონსორთან შეთანხმებით მის მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ.

**— ამას წინათ ერთ რუს ჟურნალისტს ევროპული G14-ის მსგავსი იდეა დაებადა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა გუნდებისგან სუპერლიგა გავაკეთოთო. თქვენ რას იტყვით?**

— ვერ წარმომიდგენია ამ იდეის განხორციელება.

**— დავუშვათ და შეიქმნა ასეთი ლიგა. თბილისის „დინამო" ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობით შეძლებს ასეთ გათამაშებაში მონაწილეობას? ვთქვათ, კიევის „დინამოს", მოსკოვის „სპარტაკს", „ლოკომოტივს" გაუტოლდება თქვენი გუნდი?**

— ყოველ შემთხვევაში, ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას შევძლებთ და უკრაინელებსა და რუსებს არ ჩამოვრჩებით.

**— ესე იგი, „დინამოში" ფინანსურად სტაბილური ვითარებაა.**

— დიახ, გუნდი თავის სპონსორისგან ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. შეფერხება არ გვაქვს, ყველაფერი კარგადაა. უახლოეს მომავალში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას გავხსნით, სადაც 15-17 წლის ბიჭები ივარჯიშებენ და ესეც, რა თქმა უნდა, „დინამოს" განვითარების ხელშემწყობი იქნება. ძირითადი შემადგელობისთვის ახალ ფეხბურთელებს ჩვენ თვითონ გამოვზრდით.

**— როდის აპირებთ ამ აკადემიის გახსნას?**

— მაისში. ყველა საკითხი საბოლოოდ მოგვარდება.

**— სხვა რა ცვლილებებს ველოდოთ, რა გაქვთ გეგმაში?**

— გეგმები გვაქვს და თუ ყველაფერი შევასრულეთ, ამით ქართული ფეხბურთი ბევრს მოიგებს. ცვლილებებს რაც შეეხება, კლუბის მმართველ დირექტორად დეკემბერში დავით პეტრიაშვილი დაინიშნა, კახა ჭუმბურიძე კი სწორედ იმ აკადემიას უხელმძღვანელებს, რომელზედაც უკვე გითხარით.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „დინამოს" სტადიონზე არ გკითხოთ, არ იქნება. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ფიქრობთ და სტადიონი არ გჭირდებათ?**

— დღესდღეობით „დინამოსთვის" ეს მეტად მტკივნეული საკითხია. უკვე რამდენი ხანია, ლაპარაკია, რომ ეროვნული სტადიონი ჩვენ გადმოგვეცეს, მოვაწესრიგებთ, რეკონსტრუქციას გავუკეთებთ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოდის. როგორც ვიცი, ქვეყნის პრეზიდენტი თანახმაა, „ეროვნული" ჩვენი კლუბის საკუთრება გახდეს. ვნახოთ, მალე ალბათ ეს საკითხიც მოგვარდება.

**— ახალი სტადიონის მშენებლობაზეც ხომ ფიქრობდა თქვენი სპონსორი?**

— ამის თაობაზე სპონსორისა და პრეზიდენტის შეხვედრისას იყო საუბარი, თუმცა ითქვა, რომ აჯობებს, „დინამოს" „ეროვნული" გადაეცეს.

# შუშაკის ტაქტიკა: ტაქტი და ხარისხი

*გია ფირცხალავასთან საუბარს რომ ვამთავრებდით, „დინამო" სავარჯიშოდ ემზადებოდა, თუმცა არასრული შემადგენლობით. გუნდის პრესსამსახურის უფროსის, ლევან სალუქვაძის ცნობით, ოთარ ხიზანეიშვილს კუნთი აქვს დაჭიმული, ვიტალი დარასელიას საზარდული აწუხებს, არჩილ სახვაძეს კი ბათუმში თამაშისას გრიპი შეუბრუნდა. ეს ფეხბურთელები გუნდისგან ცალკე გუშინ ნახევარი საათი ძუნძულებდნენ. ალეკო გოგობერიშვილი და ლადო ბურდული, რომელმაც განწყვეტილი კუნთი გაიმრთელა, ტრენაჟორებზე მსუბუქად ვარჯიშობდნენ. ზეგ „ტორპედოსთან" ბურდულის თამაში გამორიცხულია, სამაგიეროდ, ითამაშებს რატი ალექსიძე, რომელმაც „ბათუმთან" ორივე სათასო მატჩი გრიპის გამო გამოტოვა*



ივო შუშაკი

— მოსამზადებელმა პერიოდმა და „მცხეთასთან" და „ბათუმთან" სათასო შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ „დინამოს" ფიზიკურად მომატებული აქვს — გვითხრა თბილისელთა მწვრთნელმა *ივო შუშაკმა* — კვიპროსელი და ბოსნია-ხორვატული შეკრება გუნდს ძალიან წაადგა, პროგრესს ვამჩნევ და ვიმედოვნებ დასახული მიზნის მიღწევას შევძლებთ.

**— „ტორპედოსთან" ბურდულის გარდა ყველა ფეხბურთელის თამაშია შესაძლებელი?**

— დიახ, ვინც დაიმსახურებს, ის ითამაშებს. ბურდული კი, მოგეხსენებათ, ტრავმირებულია.

**— მოსაგებად მიდიხართ ქუთაისში?**

— რა თქმა უნდა. „დინამო" ყველა მეტოქესთან, ყველა მატჩს მოსაგებად თამაშობს.

**— „დინამოს" მთავარ კონკურენტად საჩემპიონო ბრძოლაში რომელ გუნდს მიიჩნევთ?**

— ჩემგან უტაქტობა იქნება რომელიმეს გამოყოფა. „ტორპედო", „ლოკომოტივი", „ვიტ ჯორჯია" პატივსაცემი მეტოქენი არიან და საჩემპიონო ბრძოლა სამივე გუნდთან ერთნაირად მოგვიწევს. თუმცა „დინამო" არც „სიონს" ივიწყებს და არც „კოლხეთს".

„დინამოს" ბაზის მთავარი მოედანი ქვიშამოყრილია, მინდორსაც მინდვრის ფერი აძევს და ზედაპირიც უწინდელთან შედარებით მოსწორებული ჩანს. თბილისელებს ამას წინათ ბაზაზე გერმანელი აგრონომები სტუმრობდნენ და სწორედ მათი რეკომენდაციით ბაზაზე მოედნის საფარს ასწორებენ. „დინამოს" სპორტული დირექტორი *გივი ნოდია,* ისევე როგორც მწვრთნელი, ხარისხიან მოედანზე საუბრობს.

— ბრიტანეთშიც კი, სადაც იდეალური მოედნებია, ბალახს თამაშამდე რწყავენ ბურთი რომ სწრაფად გაგორდეს. თანამედროვე ფეხბურთში სისწრაფე ყველაზე მნიშვნელოვანია, რაზეც ჩამოსვლის დღიდან მუშაობს ივო შუშაკი. უვარგისი მოედანი კი შეტევას აყოვნებს, ფეხბურთელი იძულებულია ბურთის დასამორჩილებლად ორი-სამი ზედმეტი შეხება გააკეთოს და პარტნიორს ზუსტი პასი მიაწოდოს. მოედნები თუ მაისში მოწესრიგდა, რა აზრი აქვს, იმ დროისთვის ჩემპიონატიც დამთავრდება. უცხოური შეკრებისას „დინამოს" სწორედ სისწრაფეზე ჰქონდა აქცენტი და ცუდი იქნება, უხარისხო მოედნების გამო გუნდის შრომა წყალში ჩაიყაროს. ისე კი „დინამო" ჩემპიონატისთვის კარგადაა მომზადებული და ობიექტურად რომ ვთქვათ, ჩემპიონებიც უნდა გავხდეთ.



გივი ნოდია, დავით პეტრიაშვილი და კახა ჭუმბურიძე

და კიდევ, ზეგ „დინამო" ქუთაისს სტუმრობს, ბოლო დროს თავის უპირველეს კონკურენტს საჩემპიონო ბრძოლაში. არის ერთი პრობლემა — უსაფრთხოება. წლეულს და შარშან თბილისელ ქომაგთ „ტორპედო" — „დინამოს" მატჩის ბოლომდე ცქერა ქუთაისის სტადიონზე არ დასცალდათ. ხან რა მიზეზით, ხან ვისი პროვოცირებით, სტუმართა ფანები მატჩის შესვენებისას ტრიბუნას აცარიელებდნენ.

— ფეხბურთის ფედერაციაში გუნდების უსაფრთხოების ოფიცერთა შეხვედრა მოეწყო, რომელსაც აღმასკომის წევრები და ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრებიც ესწრებოდნენ — ამბობს „დინამოს" უსაფრთხოების ოფიცერი *გია ისიანი* — ჩვენ ქუთაისში მატჩის უსაფრთხოდ ჩატარების საკითხი დავსვით. მასპინძლები ყოველი თამაშის წინ გვპირდებიან ქომაგთა დაცვას, მაგრამ მატჩი დაიწყება და ერთი და იგივე მეორდება. ვიმედოვნებთ, ამჯერად მაინც ყველაფერი მოწესრიგდება და ჩვენს გულშემატკივრებს გუნდის ქომაგობა მატჩის ბოლომდე შეეძლებათ, მით უმეტეს, რომ პარასკევის შეხვედრა საჩემპიონოდ სულაც არ არის გადამწყვეტი.

ჩვენ კი როგორც გავიგეთ, ქუთაისში „დინამოს" საქომაგოდ თბილისიდან 100-მდე ფანი მიდის.

**კობა ინასარიძე**

## კოლხეთი (ფოთი)

# შემოდგომამ და ფილიამ კოლხეთი აწონ-დაწონეს

## აღარ გვინდა სირცხვილი და ინტერტოტო

*ფოთის „კოლხეთმა" კარგ საცხოვრებელს მიაგნო. ერთ დროს საუკეთესო სამეულის უცვლელმა წევრმა სამიოდ თვით დაიკავშნა ადგილი ზექქვსეულში და ახლა იდილიური ცხოვრებისთვის ემზადება. „კოლხეთს" არც გავარდნა ემუქრება და არც საპრიზო სამეულისთვის გამოიდებს თავს*

**სოსო ფილიას** სამწყსომ პირველ ექვსეულში უპრობლემოდ შეაღწია, თუმც შემოდგომაზე დაგროვილი შედარებით მწირი ქულათა მარაგის გამო, უფრო მეტზე ველარ იფიქრებს. ამას შარშანდელისგან განსხვავებული, გადახალისებული შემადგენლობაც დავუმატოთ და კოლხთა მოსამზადებელი ეტაპის ჩავარდნაც აუცილებლად გავითვალისწინოთ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „კოლხეთმა" თავიდანვე უარი განაცხადა ინტერტოტოს თასზე. ამ ფაქტს კი სოსო ფილია ასე ხსნის:

— ინტერტოტოს თასზე თამაშს ჩვენთვის აზრი არა აქვს. მხოლოდ მონაწილეობა რა ბედენაა და სხვა რამეზე ფიქრი კი გამორიცხულია. გუნდი ჯერაც არაა იმ დონის, რომ რაიმე წარმატებაზე ვიოცნებოთ. ამიტომაც სირცხვილს და დიდი ანგარიშით წაგებას ასე აჯობებს. ამის შესახებ უკვე ოფიციალურად ვაცნობეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

მოსამზადებელი ეტაპი ფოთელთათვის უიღბლო გამოდგა. თავიდანვე დაგეგმილმა ბულგარულმა შეკრებამ ჩაიღურის წყალი დალია, ამაში კი ლომის წილი ქალაქის მერიას შეუტანია.

— 25 იანვარს ბულგარეთში უნდა წავსულიყავით. ფოთის მერი შარშან ჩვენთან შეხვედრის დროს დაგვპირდა ამ შეკრების დაფინანსებას, მაგრამ 29 იანვარს კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ პირობას ასრულება არ ეწერა — გაგვიმხილა გუშინ სოსო ფილიამ.

ამ ფაქტმა „კოლხეთის" თავკაცს გუნდიდან წასვლაც აფიქრებინა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ სამი დღით გაუჩინარებული სოსო ფილია დაბრუნდა. მიზეზი პრეზიდენტის სიტყვა ყოფილა — „კოლხეთს" ფინანსური პრობლემები არ შეაწუხებს.

ყოველივე ამის გამო, „კოლხეთი" საგაზაფხულო ეტაპისთვის მშობლიურ ქალაქში მოემზადა და საკმაოდ ცოტა ამხანაგური მატჩები ჩაატარა. წყალტუბოს „სამგურალთან" (4:1), ოზურგეთის „მერცხალთან" (1:1), თსუ-თან (0:1) და თბილისის „სპარტაკთან" (1:2) ნათამაშები სპარინგ-მატჩები უთუოდ ზღვაში წვეთია ზღვისპირელთათვის.

ჩემპიონატის განახლებამდე კოლხებმა საქართველოს თასზე თამაშიც მოასწრეს. სოსო ფილიას შეგირდებმა მეთექვსმეტედფინალში „სამტრედია" იმხვერპლეს — 6:0 და 3:0, მერვედფინალში კი ბოლნისის „სიონთან" საშინაო ნულოვანი ყრის შემდეგ სტუმრად 1:2 დამარცხდნენ.

ორიოდ სიტყვა გუნდის შემადგენლობაზეც ვთქვათ. ამჟამად მწვრთნელის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია. სწორედ ისინი მოირგებენ „კოლხეთის" მაისურას ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე. ზღვისპირელებს ერთი საკმაოდ გამოცდილი ახალწვეულიც ჰყავთ — ბათუმელი თემურ ტუღუში, რომლისაც ფილიას ძალიან ეიმედება. ტუღუშის ძალა „სიონთან" სათასო მატჩშიც კარგად გამოჩნდა. „კოლხეთში" ითამაშებს თავდამსხმელი ბორის გონჩაროვიც. პირველ ეტაპზე გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ნაახალწლევს უცხოეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას, თუმც ახლა ისევ ფოთს მიაშურა და თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშობს. ამათ გარდა კოლხებმა გიორგი გაბიდაური, თემურ მალანია, კოტე დარსანია და ავთანდილ ლაბაძე გადაიბირეს.

— ეს ბიჭები გუნდს უთუოდ გააძლიერებენ. განსაკუთრებით ორ ახალგაზრდას, ჭარსანიასა და მალანიას გამოვარჩევ. ისინი პერსპექტიულები არიან და შანსი აუცილებლად ექნებათ — ასეთია სოსო ფილიას აზრი ახალწვეულებზე.

ერთადერთი ხინჯი, რაც კოლხთა მწვრთნელს დღესაც ჩარჩენია გულში, თბილისის „დინამოს" მცველი რამაზ სვანაძეა, რომელიც პირველ ეტაპზე სწორედ ფოთური კლუბის ღირსებას იცავდა. დეკემბრის ბოლოს კი სვანაძეს იჯარის ვადა ამოეწურა და მშობლიურ „დინამოს" დაუბრუნდა.

კოლხებს მის ხელმეორედ გადაბირებაზე უარი სულაც არ უთქვამთ, მაგრამ საბოლოოდ სვანაძე იჯარითვე ბოლნისის „სიონში" აღმოჩნდა და თასის მერვედფინალში „კოლხეთის" დამარცხებაში საკუთარი წვლილიც შეიტანა.

ბოლნისის „სიონშია" კიდევ ერთი ყოფილი კოლხი, გელა ფანჩულიძე. წლების მანძილზე ზღვისპირული კლუ-



სოსო ფილია



თემურ ტუღუში

ბის თილისმად ქცეულმა ვეტერანმა მარცხენაფლანგელმა „კოლხეთში" კარიერის გაგრძელებაზე უარი თქვა და თავშესაფარი სხვაგან იპოვა. ფანჩულიძის დარად, გუნდი ელდარ გვასალიამაც დატოვა. ამ დუეტს ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" გადაბარგებული კლიმენტი წიტაიშვილიც დავუმატოთ და ცხადი გახდება, რომ სოსო ფილიას გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი, სავარაუდოდ, თავდასხმა იქნება. თუმც მწვრთნელს სათადარიგო ვარიანტიც მოუმზადებია — ტუღუშ-გონჩაროვ-გაგუას სამეული არანაკლებ ძლიერიაო.

— პრობლემა ერთია, ახალწვეულები გუნდს ნაწილ-ნაწილ შეუერთდნენ და მათი შეთამაშება ვერ მოვასწარით. ორისამი მატჩი კიდევ დაგვჭირდება სათამაშო პრაქტიკის დასაბრუნებლად — ფიქრობს სოსო ფილია.

„კოლხეთის" თავკაცმა ფეხბურთელების აწონ-დაწონვაც მოასწრო: გუნდის საშუალო ასაკი 21,7 წელია, საშუალო სიმაღლე 1,81 მეტრი, საშუალო წონა კი — 72 კილოგრამი.

**ბაჩა შალამბერიძე**

> აქვე სოსო ფილიას რჩეულ 25 ფეხბურთელის სიას გთავაზობთ:
> **მეკარეები** — ა. ლაბაძე, ჩემია, ძერაია;
> **მცველები** — ნარსია, ბალათურია, მ. ქობულაძე, ჯოლია, მ. ფილია, თურქია, გოროზია, შ. ლონდაძე;
> **ნახევარმცველები** — ქუტიძე, დ. ნ. ლოლუა, კვერნაძე, გურგენიძე, ტუღუში, ხურცილავა, გოგალეიშვილი, გაბიდაური, დარსანია, გაგუა;
> **თავდამსხმელები** — გონჩაროვი, კრასოვსკი, მალანია, დ. ი. ლოლუა

## დილა (გორი)

*უჭირს თუ ულხინს გორის „დილას", ერთი უჩვეულო ტრადიცია თან დაჰყვება. გამორიცხულია, ქართლელებმა წელიწადში ერთხელ მწვრთნელი არ გამოიცვალონ. ვინმეს „დილაში" გადაბმულად ორი სეზონი ემუშაოს, ძნელად გასახსენებელია. ასე იყო უწინ და გამონაკლისი არც მეთოთხმეტე ეროვნული გამოდგა*

# გორული ტრადიციონალიზმი

## ჩხეიძე დილას 50 დირექტორს ჰპირდება

ვლადიმერ ხაჩიძემ უმაღლესი ლიგიდან პირველში ჩაქვეითებული „დილა" შარშან სეზონის დაწყებამდე ჩაიბარა. მისი ძალისხმევით ერთ წელიწადში უკანვე დაბრუნდნენ გორელები. ხაჩიძეს გასული შემოდგომაც დააცალეს და ნაახალწლევს დაითხოვეს.

აწ უკვე ყოფილი თავკაცი თითქოს უპირობობასაც არ უჩიოდა, იგი ხომ ერთ-ერთი მაღალხელფასიანი მწვრთნელი იყო საქართველოში. ხაჩიძეზე ძვირი არც კლუბის ხელმძღვანელებს დასცდენიათ, მაგრამ მათი საფეხბურთო ჩანაფიქრი ხაჩიძისას არ ემთხვეოდა და ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ.

„დილა" გუნდის ვეტერანმა ფორვარდმა ზურაბ ხორგუაშვილმა ჩაიბარა, პოლიტიკაში ფეხმოკიდებულ ფეხბურთელს კლუბის თავკაცებმა გვერდით დგომა აღუთქვეს და მართალია, იგი ყოყმანობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაითანხმეს.

ზურაბმა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა და მეგობარ თანაგუნდელებს ხელმძღვანელად მოევლინა. დღეიდან გაორკეცებული ყინით ვიბრძოლებთო, შეჰპირდნენ ფეხბურთელები ახალგამომცხვარ მწვრთნელს და „დილას" გაძლიერებაც დაიწყო.

პირველი, რაც ხორგუაშვილმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ ფეხბურთიდან წასული რონინ მარლიშვილი გუნდში მოაბრუნა. მან მეორე ვეტერანს, თამაზ ციცქიშვილსაც მიაკითხა, მაგრამ საამისეზონოდ მისი დაყოლიება ვერ მოახერხა.

— რონის თამაში ჯერაც ძალუძს, მისი გამოცდილება „დილას" ძალიან წაეშველება, მის გვერდით ახალგაზრდებიც დაოსტატდებიან — დარწმუნებულია ხორგუაშვილი.

მხოლოდ ერთი მარლიშვილი დასუსტებულ „დილას" ვერ უშველიდა და გუნდის თავკაცმაც დედაქალაქური „ლოკომოტივის" კარს მიუკაკუნა. რკინიგზელებმა ოთხი ფეხბურთელი გაიმეტეს შიდაქართლელებისთვის. მცველი გილაური, შუახაზელი მორჩილაძე და ფორვარდი არუდაშვილი უკვე „დილას" მაისურას ატარებენ, ხოლო კიდევ ერთი თავდამსხმელის, მუშკუდიანის სატრანსფერო ფურცელი კი რუსეთიდან ჯერჯერობით იგვიანებს.

წარმატებული დებიუტი გამოუვიდა ხორგუაშვილს. მისი თავკაცობით „დილამ" თასის ორი ეტაპი დაძლია და ჩემპიონატის განახლებას იმედიანად ეგებება.

— დარწმუნებული ვარ, არ გავვარდებით და მომავალი სეზონისთვის სხვა მიზნისთვისაც ვიბრძოლებთ — ამის გარანტად ხორგუაშვილს კლუბის პრეზიდენტი გელა ჩხეიძე და მისი საქმიანი პარტნიორები მიაჩნია.

ერთი შეხედვით, ასე კარგად გორის „დილა" კარგა ხანია, არ ყოფილა. ფინანსური პრობლემები წარსულს ჩაბარდა, რასაც გვპირდებიან, დაუგვიანებლად გვინაზღაურებენო, ამბობენ ფეხბურთელები. სტადიონი გუნდის საკუთრებაშია, მალე არცთუ მოკრძალებული საწვრთნელი ბაზაც ჩადგება მწყობრში. „დილას" საკუთარი, უცხოური მარკის ავტობუსიც დღე-დღეზე გორში იქნებაო, ამტკიცებენ კლუბის თავკაცები.

მოგეხსენებათ, კომფორტი კარგია, თუმც სოლიდურ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული. ქართულ ფეხბურთს არაერთი მსგავსი წამოწყება ახსოვს, მაგრამ მერე ყველაფერი შუა გზაზე მიტოვებულიც გვინახავს. არავითარ შემთხვევაშიო, გვიმტკიცებს „დილას" თავკაცი **გელა ჩხეიძე**, რომელთან ინტერვიუც სწორედ ზემოთ ნახსენები პრობლემით დავიწყეთ.

— არჩევანი უკვე გავაკეთე. მე აქტიური და გამარჯვებული პოლიტიკოსი ვიყავი, ჩვენ გორში საკრებულოს არჩევნები მოვიგეთ და შემეძლო, სხვა გზას ვწეოდი, მაგრამ „დილა" ვამჯობინე. თუ დავრწმუნდები, რომ ქართული ფეხბურთი უპერსპექტივო და უძირო ჭაობია, მაშინ საპირისპირო გადაწყვეტილების მიღებაც არ გამიჭირდება. უკეთესი მომავლის მწამს, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრობასაც ამიტომ დავთანხმდი.

**— 47 წლის წარმატებული ბიზნესმენი, აქტიური პოლიტიკოსი, ტელერადიო კომპანია „ქართლის" დირექტორი... შეგეძლოთ, უზრუნველი ცხოვრება მოგეწყოთ. „დილას" პატრონობა კი ერთი შეხედვით ნაკლებად მომგებიანი საქმე ჩანს. რამ გაიძულათ, ასეთი ნაბიჯი გადაგედგათ?**

— ბავშვობიდან თბილისის „დინამოს" ქომაგი ვიყავი. მართალია, ახლა „დინამო" ჩვენი მეტოქეა და ზოგჯერ მისგან „ნაწყენიც" ვრჩები, მაგრამ წლობით ჩანერგილი სიყვარული არ განელებულა. იმ სიყვარულმა მომიყვანა ფეხბურთშიც.

**— მაგრამ საქართველოში ეს საქმე დიდ ხარჯებს მოითხოვს.**

— ხარჯების არ გვეშინია. „დილას" დირექტორატში 21 კაცია, კლუბის მასშტაბი კი სულ უფრო მზარდი. როცა შენს გვერდში „ომეგას" პრეზიდენტი ზაზა ოქუაშვილი, მხარის გუბერნატორი დავით ქობლიანიძე, ქალაქის მერი პაატა ჩხეიძე დგანან, მაშინ წარმატებისაც გეიმედება.

**— ერთი წუთით დავუშვათ, რომ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეთ, არა მგონია, დანახარჯი ვინმემ აანაზღაუროს.**

— ჩვენ გამორჩენაზე არ ვფიქრობთ. არ გამოვა ეს საქმე და ბავშვებს სტადიონი და ბაზა დარჩებათ. მერწმუნეთ, ბავშვებისთვის ყველა სიკეთე ალალია.

**— დამეთანხმებით, წარმატებამდე დიდი გზა გაქვთ გასავლელი. თანაც „დილას" კიდევ ბევრი რამ დასჭირდება.**

— კლუბში სამწლიანი პროგრამით მოვედი. სულ მალე კეთილმოწყობილი საწვრთნელი ბაზა გვექნება. მართალია, ჯერ სტანდარტული სავარჯიშო ბალახის საფარიანი მოედანი არ გვაქვს, მაგრამ გორში, „ცენტრალურის" გადაღმა, ლიახვის პირზე, საფეხბურთოსარაგბო მოედანი აშენდება. მუშაობა იქ ორ კვირაში გაჩაღდება. განათლების სამინისტროში პროექტი უკვე წარმოვადგინეთ და პირველი სექტემბრიდან გორის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში საფეხბურთო სკოლა-ინტერნატიც ამოქმედდება. „დილაში" მუდამ თამაშობდნენ მოწვეული ფეხბურთელები, ამიერიდანაც იქნებიან, მაგრამ მსურს, უმეტესი წილი ადგილობრივები იყვნენ. სამომავლოდ „ცენტრალურსაც" მივხედავთ და თანამედროვე სტანდარტებს შევუსაბამებთ. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვივლით და არ გაიკვირვოთ, ერთხელაც „დილა" თასს და საპრიზოებსაც რომ გაეთამაშოს. ერთი პატარა წარმატება და დირექტორატი წამსვე 50 კაცამდე გაიზრდება.

**— ამბობთ, რომ ხარჯის არ გეშინიათ, თითქოს მონდომებაც არ გაკლიათ. გეგმის განსახორციელებლად კიდევ რა გჭირდებათ?**

— ცოტა იღბალი და მუხლჩაუხრელი შრომა. დაძაბული დღეებისა არ გვეშინია.

**— „დინამო" რომ „დილას" გზაზე გადაუდგეს?**

— მიუხედავად ჩემი უდიდესი სიმპათიისა, გპირდებით, მოვა დრო, „დინამოს" „დილასთან" ბრძოლა გაუჭირდება.

**მამუკა ძგანტალიანი**



გელა ჩხეიძე



ვლადიმერ ხაჩიძის და „დილას" გზები მოსამზადებელ ეტაპზე გაიყარა

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 002 | ბოხუმი-ბაიერნი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 18.30 | 003 | ჰანზა-ვერდერი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 004 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 005 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |
| 18.30 | 006 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-შალკე | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 008 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 010 | მიუნხენი-შტუტგარტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 011 | მაინცი-ფიურტი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.00 | 012 | ტრიერი-რეიტლინგენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.00 | 013 | ალენი-დუისბურგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ბრაუნშვაიგი-ბურგჰაუზენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ზტ.პაული | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 016 | აინტრახტი-ალემანია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 017 | ლიუბეკი-კარლსრუე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 18.00 | 018 | უნიონი-კიოლნი | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-ფრაიბურგი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 044 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.00 | 045 | ბლეკბერნი-არსენალი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,25 | 1,15 |
| 19.00 | 046 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 047 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,67 | 2,1 | 1,99 |
| 19.00 | 048 | ფულემი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 049 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 050 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 051 | სიტი-ბირმინგემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 052 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.05 | 053 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 056 | პორტსმუთი-ნორვიჩი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 23.45 | 057 | შეფილდი-ბარნსლი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 24.00 | 058 | რედინგი-ვულვერჰემპტონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 073 | სუინდონი-ჩელტენჰემი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

### იტალია. სერია "A". XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 106 | რეჯინა-მილანი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 23.30 | 107 | იუვენტუსი-მოდენა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 108 | იუვენტუსი-მოდენა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 109 | ბოლონია-უდინეზე | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 110 | ბრეშა-ტორინო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 18.00 | 111 | კიევო-პარმა | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 112 | ინტერი-კომო | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 113 | ინტერი-კომო 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 18.00 | 114 | პერუჯა-რომა | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 18.00 | 115 | პიაჩენცა-ატალანტა | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 23.30 | 116 | ლაციო-ემპოლი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

### იტალია. სერია "B". XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 117 | ვიჩენცა-მესინა | 1,75 | 2,8 | 5,6 | 1,07 | 1,33 | 1,86 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 118 | ასკოლი-კალიარი | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 18.00 | 119 | კატანია-სამპდორია | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,4 | 1,34 |
| 18.00 | 120 | კოზენცა-ტრიესტინა | 2,7 | 2,7 | 2,8 | 1,35 | 1,37 | 1,37 |
| 18.00 | 121 | ჯენოა-ვენეცია | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| 18.00 | 122 | ლეჩე-ბარი | 1,8 | 2,7 | 5,3 | 1,08 | 1,34 | 1,78 |
| 18.00 | 123 | ნაპოლი-ვერონა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| 18.00 | 124 | პალერმო-სალერნიტანა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.00 | 125 | ტერნანა-ლივორნო | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 126 | სიენა-ანკონა | 2,05 | 2,5 | 4,6 | 1,12 | 1,41 | 1,61 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 149 | ვილარეალი-რეალი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,25 | 1,15 |
| 23.45 | 150 | დეპორტივო-რაიო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 151 | დეპორტივო-რაიო | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |
| 00.30 | 152 | რასინგი-სოსიედადი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 153 | ატლეტიკო-სელტა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 20.00 | 154 | ესპანიოლი-მალაგა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 20.00 | 155 | ოსასუნა-მალიორკა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 156 | ბეტისი-უელვა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 157 | ვალიადოლიდი-სევილია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.00 | 158 | ალავესი-ბარსელონა | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 23.30 | 159 | ბილბაო-ვალენსია | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 160 | ლას პალმასი-ლეგანესი | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 21.30 | 161 | ტერასა-მურსია | 2,7 | 2,6 | 2,9 | 1,32 | 1,39 | 1,37 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 14.30 | 162 | ხეტაფე-ოვიედო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 15.00 | 163 | ეიბარი-ტენერიფე | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| 20.00 | 164 | ბადახოსი-ლევანტე | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| 20.00 | 165 | სპორტინგი-ალბასეტე | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,4 | 1,34 |
| 20.00 | 166 | ხერესი-ეხიდო | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 20.00 | 167 | სარაგოსა-კომპოსტელა | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 20.00 | 168 | ელჩე-სალამანკა | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 20.00 | 169 | ალმერია-ფეროლი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 20.00 | 170 | ნუმანსია-კორდობა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 173 | ლანსი-ნანტი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.30 | 174 | ლილი-მონპელიე | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.30 | 175 | სოშო-აიაჩო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 176 | კანი-ნანსი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 177 | ვასკეალი-გენიონი | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1.36 | 1,52 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 178 | სტ.ეტიენი-ამიენი | 2,1 | 2,7 | 4.0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 23.30 | 179 | ბოვე-ლავალი | 2,5 | 3,0 | 2.7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 180 | რეიმსი-მეცი | 2,8 | 2,9 | 2,5 | 1,42 | 1,32 | 1,34 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 01.00 | 181 | მორეირენსე-ბელენენსეში | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 01.15 | 182 | აკადემიკა-ბენფიკა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 183 | ბრაგა-ჟილ ვისენტე | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 20.00 | 184 | ფერეირა-მარიტიმუ | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 185 | სეტუბალი-ნასიონალი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 186 | სანტა კლარა-ბეირა მარი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 22.00 | 187 | პორტუ-ლეირია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 188 | პორტუ-ლეირია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 00.15 | 189 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 00.30 | 190 | ვარზიმი-გიმარაეში | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |

### პორტუგალია. II ლიგა. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 191 | სალგეიროში-შავეში | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 192 | ლეცა-მარკუ | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |
| 20.00 | 193 | მადეირა-ფარენსე | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 20.00 | 194 | ამადორა-ნავალი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 20.00 | 195 | ლამეგო-ალვერკა | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| 20.00 | 196 | მაია-ავეში | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 20.00 | 197 | ფელგეირაში-კოვილია | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 20.00 | 198 | პორტიმონენსე-ოვარენსე | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 20.00 | 199 | პენაფიელი-რიუ ავე | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი
### გადადებული მატჩი.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 203 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 204 | გრააფსხაპი-ვალვაიკი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 22.30 | 205 | ვიტესი-აზ | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 22.30 | 206 | როდა-ბრედა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 22.30 | 207 | ჰერენვენი-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.30 | 208 | ზვოლე-როზენდალი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 209 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 17.30 | 210 | აიაქსი-ექსელსიორი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 211 | აიაქსი-ექსელსიორი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 17.30 | 212 | ალკმაარი-უტრეხტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.30 | 213 | გრონინგენი-ტილბურგი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

### ბელგია. I დივიზიონი
### XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 224 | ლოკერენი-გენტი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 225 | სტ.ტრუიდენი-ანტვერპენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.00 | 226 | ბრიუგე-შარლერუა | 1,06 | 10,0 | 17,0 | 1 | 1 | 6,29 |
| | 227 | ბრიუგე-შარლერუა 0:1 | 1,15 | 5,6 | 6,0 | | | |
| 23.00 | 228 | ლომელი-მეხელენი | 1,15 | 4,4 | 7,0 | 1 | 1 | 2,7 |
| 23.00 | 229 | ბევერენი-გენკი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 230 | ლიერსი-მუსკრონი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 231 | ლუვენი-ვესტერლო | 1,85 | 3,5 | 3,5 | 1,21 | 1,21 | 1,75 |
| 18.00 | 232 | ბეერსხოტი-სტანდარდი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 23.00 | 233 | მონსი-ანდერლეხტი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |

### საბერძნეთი. XXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 245 | ირაკლისი-იანინა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 246 | ირაკლისი-იანინა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 247 | პროდევტიკი-პაოკი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 18.00 | 248 | პანათინაიკოსი-ეგალეო | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 249 | პანათინაიკოსი-ეგალეო 0:1 | 1,25 | 4,6 | 5,0 | | | |
| 18.00 | 250 | აეკ-აკრატიტოსი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 251 | აეკ-აკრატიტოსი | 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | |
| 18.00 | 252 | ქსანთი-პანიონიოსი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 253 | იონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |
| 18.00 | 254 | კალითეა-პანაჰაიკი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.00 | 255 | არისი-ოფი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |

### ჩეხეთი. XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 17.25 | 256 | სლავია-ტეპლიცე | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 13.15 | 257 | ჟიჟკოვი-იაბლონეცი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.00 | 258 | ბლშანი-პრჟიბრამი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 259 | სინოტი-სპარტა | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 18.00 | 260 | ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.30 | 261 | ჰ.კრალოვე-ზლინი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.30 | 262 | ბრნო-სიგმა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 19.40 | 263 | ლიბერეცი-ბოჰემიანსი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

### პოლონეთი. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 264 | ლეგია-ამიკა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 265 | გროცლინი-პოგონი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 17.00 | 266 | გარბარნია-ოსტროვეცი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 267 | ლეხი-ოდრა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 21.00 | 268 | პლოცკი-პოლონია | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.15 | 269 | ვიძევი-კატოვიცე | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 270 | ზაგლებიე-გურნიკი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.15 | 271 | რუხი-ვისლა | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1.19 |

### თურქეთი. XXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 272 | გენჩლერბირლიგი-გაზიანთეპი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 15.30 | 273 | ელაზიგი-ფენერბაჰჩე | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 17.30 | 274 | ისთანბული-გალათასარაი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 18.30 | 275 | ადანა-დენიზლი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 276 | სამსუნი-ტრაბზონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 15.30 | 277 | ქოჯაელი-დიარბაქირი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 15.30 | 278 | ბურსა-გიოზთეპე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 15.30 | 279 | ალთაი-მალათია | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 21.00 | 280 | ბეშიქთაში-ანკარაგუჯუ | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 281 | ბეშიქთაში-ანკარაგუჯუ 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

### შოტლანდია. პრემიერლიგა
### XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 282 | აბერდინი-დანდი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 19.00 | 283 | დანდი იუნ.-ლივინგსტონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 284 | პარტიკი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 17.05 | 285 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 310 | ისტ სტირლინგი-მონტროუზი | 2,9 | 3,5 | 2,15 | 1,58 | 1,23 | 1,33 |
| | | **დანია. XIX ტური** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 318 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 319 | ფარუმი-ორჰუსი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 320 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 321 | კოგე-ოლბორგი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 18.00 | 322 | სილკებორგი-აკადემისკი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.35 | 323 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **ავსტრია. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 324 | პაშინგი-რიდი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| | | **ავსტრია. XXV ტური** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 325 | კერნტენი-რაპიდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 326 | რიდი-ბრეგენცი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 327 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.30 | 328 | შტურმი-ადმირა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19.30 | 329 | ავსტრია-პაშინგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 330 | ავსტრია-პაშინგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 331 | თუნი-ბაზელი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 20.30 | 332 | ქსამაქსი-ვილი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 17.15 | 333 | სერვეტი-იანგ ბოისი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.15 | 334 | გრასჰოპერი-ციურიხი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **საფრანგეთი. თასი. 1/4 ფინალი.** | | | | | | |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 355 | შილტინგეიმი-რენი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 20.00 | 356 | ბორდო-ლორიანი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.00 | 357 | მარტიგი-პსჟ | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 358 | ანგულემი-ისტრი | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 359 | ოლიმპიაკოსი-პაოკი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 360 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **II ჯგუფური ეტაპი. V მატჩები** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 365 | დორტმუნდი-ლოკომოტივი | 1,3 | 4,6 | 10,0 | 1,01 | 1,15 | 3,15 |
| 23.45 | 366 | რეალი-მილანი | 1,6 | 3,6 | 5,3 | 1,1 | 1,22 | 2,14 |
| 23.45 | 367 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,75 | 3,2 | 4,8 | 1.13 | 1,28 | 1,92 |
| 23.45 | 368 | მანჩესტერი-ბაზელი | 1,4 | 4,2 | 7,5 | 1,04 | 1,17 | 2,69 |
| | | **უეფას თასი. ¼ ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 369 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.45 | 370 | მალაგა-ბოავიშტა | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 00.05 | 371 | სელტიკი-ლივერპული | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 01.00 | 372 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 01.05 | 377 | სპ. კრისტალი-სერო პორტ. | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 04.10 | 378 | რასინგი-ორიენტე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 04.40 | 379 | ელ ნასიონალი-სანტოსი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 00.05 | 380 | კოლო კოლო-ბარსელონა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.10 | 381 | გრემიო-ბოლივარი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 05.35 | 382 | ემელეკი-რივერ პლეიტი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 628 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.30 | 629 | აისბარენი-ჰამბურგი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.30 | 630 | კიოლნი-კასელი | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2,08 |
| 22.30 | 631 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 660 | ჰამეენლინა-ტურკუ | 1,45 | 4,6 | 4,6 | 1,1 | 1,1 | 2,29 |
| 20.30 | 661 | იოკერიტი-ჰელსინკი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 20.30 | 662 | კერპეტი-იუვესკიულე | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 19.30 | 608 | ნეფტეხიმიკი-ცსკა | 2,4 | 5,0 | 1,9 | 1,62 | 1,06 | 1,37 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 619 | პარდუბიცე-ზნოიმო | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 20.00 | 620 | ტრჟინეცი-ვიტკოვიცე | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი.** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 662 | კერპეტი-იუვესკიულე | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 678 | ბუფალო-კაროლინა | 2,05 | 3,3 | 3,0 | 1,26 | 1,21 | 1,57 |
| 04.00 | 679 | ტამპა ბეი-ლოს ანჯელესი | 2,05 | 2,7 | 3,4 | 1,16 | 1,27 | 1,5 |
| 04.30 | 680 | პიტსბურგი-ნეშვილი | 2,4 | 3,2 | 2,45 | 1,37 | 1,21 | 1,38 |
| 04.30 | 681 | ფლორიდა-მონრეალი | 2,35 | 3,3 | 2,45 | 1,37 | 1,19 | 1,4 |
| 05.00 | 682 | მინესოტა-დალასი | 2,45 | 3,3 | 2,35 | 1,4 | 1,19 | 1,37 |
| 06.00 | 683 | ფინიქსი-დეტროიტი | 2,7 | 3,2 | 2,25 | 1,46 | 1,22 | 1,32 |
| 07.30 | 684 | ანაჰაიმი-ჩიკაგო | 2,05 | 3,2 | 3,1 | 1,24 | 1,23 | 1,57 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 723 | ტრიესტი-ბოლონია | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 724 | სკიპერი-კანტუ | 1,5 | 12,0 | 2,2 | 1,33 | 1 | 1,85 |
| 23.30 | 725 | ნაპოლი-სკავოლინი | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |
| 23.30 | 726 | ბიელა-რომა | 1,85 | 12,0 | 1,75 | 1,6 | 1 | 1,52 |
| 23.30 | 727 | როზეტო-უდინე | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.30 | 728 | ვარეზე-აველინო | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.30 | 729 | სიენა-კალაბრია | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3.52 |
| 23.30 | 730 | მილანი-ლივორნო | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 740 | სან ფერნანდო-ფუენლაბრადა | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 23.30 | 741 | ვალენსია-ალიკანტე | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 742 | ხუვენტუდი-ვალიადოლიდი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.30 | 743 | ესტუდიანტესი-ლეიდა | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.30 | 744 | ტაუ-ბარსელონა | 2,0 | 12,0 | 1,6 | 1,71 | 1 | 1,41 |
| 23.30 | 745 | კასერესი-ხირონა | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 23.45 | 746 | ბრეოგანი-რეალი | 2,0 | 12,0 | 1,6 | 1,71 | 1 | 1,41 |
| 24.00 | 747 | უნიკახა-ურგაკალე | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 24.00 | 748 | გრანადა-მანრესა | 1,85 | 12,0 | 1,75 | 1,6 | 1 | 1,52 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 774 | ბოსტონი-ნიუ ორლეანი | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |
| 04.00 | 775 | ორლანდო-იუტა | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 04.00 | 776 | ფილადელფია-ინდიანა | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| 04.30 | 777 | დეტროიტი-ლეიკერსი | 1,85 | 12,0 | 1,75 | 1,6 | 1 | 1,52 |
| 04.30 | 778 | ატლანტა-მილუოკი | 1,85 | 12,0 | 1,75 | 1,6 | 1 | 1,52 |
| 05.00 | 779 | მემფისი-ჩიკაგო | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |
| 05.00 | 780 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 05.30 | 781 | ჰიუსტონი-კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 07.00 | 782 | პორტლენდი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

15.03 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
15.03 16.30 2602 ინგლისი პლ. (XXX ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
15.03 21.00 2603 იტალია "A" (XXV ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
15.03 22.00 2604 ესპანეთი Iდ. (XXVI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
14.03 01.00 2605 პორტუგალია Iლ.(XXV ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
15.03 22.30 2606 ჰოლანდია Iდ. (XXIV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
15.03 23.00 2607 ბელგია Iდ. (XXVI ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9
14.03 22.00 2608 თურქეთი (XXIV ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2105 | დორტმუნდი-ლოკომოტ. | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,0 | 17,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2106 | რეალი-მილანი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | 2107 | იუვენტუსი-დეპორტივო | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.45 | 2108 | მანჩესტერი-ბაზელი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **13 მარტი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2109 | ლაციო-ბეშიქთაში | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 2110 | მალაგა-ბოავიშტა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 00.05 | 2111 | სელტიკი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 01.00 | 2112 | პორტუ-პანათინაიკოსი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრ[ო]) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | |
| 23.45 | 2205 | დორტმუნდი-ლოკომოტივი | 1,95 | 1.65 |
| 23.45 | 2206 | რეალი-მილანი | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 2207 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,85 | 1.75 |
| 23.45 | 2208 | მანჩესტერი-ბაზელი | 2,0 | 1.6 |
| | | **13 მარტი** | | |
| 23.45 | 2209 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2210 | მალაგა-ბოავიშტა | 1,8 | 1,8 |
| 00.05 | 2211 | სელტიკი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 01.00 | 2212 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | |
| 23.45 | 2405 | დორტმუნდი-ლოკომოტივი | 1,25 | 3,6 |
| 23.45 | 2406 | რეალი-მილანი | 1,4 | 3,0 |
| 23.45 | 2407 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,55 | 2,5 |
| 23.45 | 2408 | მანჩესტერი-ბაზელი | 1,35 | 3 2 |
| | | **13 მარტი** | | |
| 23.45 | 2409 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,4 | 3,0 |
| 23.45 | 2410 | მალაგა-ბოავიშტა | 1,4 | 3,0 |
| 00.05 | 2411 | სელტიკი-ლივერპული | 1,8 | 2,0 |
| 01.00 | 2412 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,5 | 2,6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | |
| 23.45 | 2305 | დორტმუნდი-ლოკომოტივი | 1,75 | 1.85 |
| 23.45 | 2306 | რეალი-მილანი | 1,65 | 1.95 |
| 23.45 | 2307 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,65 | 1.95 |
| 23.45 | 2308 | მანჩესტერი-ბაზელი | 1,7 | 1,9 |
| | | **13 მარტი** | | |
| 23.45 | 2309 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2310 | მალაგა-ბოავიშტა | 1,75 | 1,85 |
| 00.05 | 2311 | სელტიკი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 01.00 | 2312 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,75 | 1,85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | |
| 23.45 | 2505 | დორტმუნდი-ლოკომოტივი | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 2506 | რეალი-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2507 | იუვენტუსი-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | მანჩესტერი-ბაზელი | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| | | **13 მარტი** | | | |
| 23.45 | 2509 | ლაციო-ბეშიქთაში | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 2510 | მალაგა-ბოავიშტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 00.05 | 2511 | სელტიკი-ლივერპული | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 01.00 | 2512 | პორტუ-პანათინაიკოსი | 3,0 | 2.8 | 2,0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 2005 | დორტმუნდი-ლოკომოტივი | 1.5 | 3.0 | 7.5 | 1 | 1.25 | 2.14 |
| 23.45 | 2006 | რეალი-მილანი | 1.95 | 2.35 | 5.0 | 1.06 | 1.4 | 1.59 |
| 23.45 | 2007 | იუვენტუსი-დეპორტივო | 2,15 | 2.1 | 5.3 | 1.06 | 1.52 | 1.5 |
| 23.45 | 2008 | მანჩესტერი-ბაზელი | 1.75 | 2,4 | 6.5 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 2009 | ლაციო-ბეშიქთაში | 1.9 | 2.25 | 6.0 | 1.03 | 1.44 | 1.63 |
| 23.45 | 2010 | მალაგა-ბოავიშტა | 1.95 | 2.2 | 6.0 | 1.03 | 1.47 | 1.6 |
| 00.05 | 2011 | სელტიკი-ლივერპული | 2.9 | 2.05 | 3.3 | 1.2 | 1.54 | 1.26 |
| 01.00 | 2012 | პორტუ-პანათინაიკოსი | 2.1 | 2.15 | 5.3 | 1.06 | 1.5 | 1.52 |

## უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **13 მარტი** | | |
| 23.45 | 2701 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,35 | 2,6 |
| 23.45 | 2702 | მალაგა-ბოავიშტა | 1,4 | 2,4 |
| 00.05 | 2703 | სელტიკი-ლივერპული | 2,4 | 1,4 |
| 01.00 | 2704 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,5 | 2,0 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Ⅰ კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ჩემპიონები და თასის აღება

**უეფას თასი**
**13 მარტი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 022 | ლივერპული | 2,8 |
| 021 | ლაციო | 3,5 |
| 024 | პორტუ | 6,0 |
| 025 | სელტიკი | 6,0 |
| 026 | მალაგა | 8,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 9,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 12,0 |
| 034 | ბოავიშტა | 20,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**15 მარტი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,2 |
| 052 | მანჩესტერი | 3,3 |
| 055 | ნიუკასლი | 15,0 |

**იტალია. სერია A**
**15 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1,9 |
| 062 | ინტერი | 2,5 |
| 061 | მილანი | 3,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**15 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,2 |
| 072 | სოსიედადი | 3,2 |
| 073 | ვალენსია | 4,0 |
| 074 | დეპორტივო | 4,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**14 მარტი (23.30)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,5 |
| 081 | მარსელი | 2,5 |
| 083 | მონაკო | 2,5 |
| 089 | ბორდო | 4,0 |
| 084 | ოსერი | 10,0 |
| 086 | ნიცა | 12,0 |
| 087 | ლანსი | 12,0 |
| 088 | ნანტი | 12,0 |
| 085 | პსჟ | 12,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**15 მარტი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1,1 |
| 102 | აიაქსი | 4,0 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**15 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**15 მარტი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,5 |
| 192 | სლავია | 2,0 |

**პოლონეთი**
**14 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,25 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 5,0 |
| 199 | ოდრა | 8,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**15 მარტი (17.30)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,4 |
| 131 | გალათასარაი | 2,3 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**16 მარტი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,5 |
| 142 | სელტიკი | 2,0 |

**დანია. სუპერლიგა**
**15 მარტი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 | ოლბორგი | 10,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**15 მარტი (20.30)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,4 |
| 161 | ბაზელი | 2,2 |

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 4,0 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 207 | ოტავა | 6,0 |
| 206 | კოლორადო | 7,0 |
| 208 | ვანკუვერი | 8,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 | ტორონტო | 12,0 |
| 204 | ბოსტონი | 15,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 | მინესოტა | 25,0 |
| 224 | აილენდერსი | 40,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 50,0 |
| 217 | მონრეალი | 50,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 213 | კაროლინა | 75,0 |
| 219 | პიტსბურგი | 75,0 |
| 220 | ჩიკაგო | 75,0 |
| 222 | რეინჯერსი | 75,0 |
| 216 | სან ხოსე | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 100,0 |
| 225 | ფინიქსი | 100,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 300,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი**
**NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 3,0 |
| 236 | სან ანტონიო | 7,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 9,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 20,0 |
| 238 | ბოსტონი | 20,0 |
| 241 | დეტროიტი | 20,0 |
| 242 | პორტლენდი | 20,0 |
| 244 | მინესოტა | 30,0 |
| 239 | ორლანდო | 50,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 | მილუოკი | 50,0 |
| 248 | იუტა | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 245 | სიეტლი | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 249 | ატლანტა | 200,0 |
| 253 | კლიპერსი | 200,0 |
| 254 | მაიამი | 500,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999,0 |

**კალათბურთი**
**ევროლიგა**
**19 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 262 | ბენეტონი | 2,3 |
| 261 | ბარსელონა | 2,5 |
| 264 | ცსკა | 3,5 |
| 263 | პანათინაიკოსი | 5,0 |
| 268 | ოლიმპიაკოსი | 10,0 |
| 274 | სიენა | 10,0 |
| 269 | მაკაბი | 12,0 |
| 272 | ეფესი | 12,0 |
| 270 | ოლიმპია | 20,0 |
| 273 | სკიპერი | 25,0 |
| 265 | ტაუ | 50,0 |
| 275 | ულქერი | 50,0 |
| 271 | უნიკახა | 100,0 |
| 266 | კინდერი | 200,0 |
| 276 | ციბონა | 200,0 |
| 277 | ვილერბანი | 250,0 |


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*რუსებს კარგა ხანს ემახსოვრებათ საქართველოს ნაკრების მე-10 ნომერი პალიკო ჯიმშელაძე, რომელმაც ლამის მარტომ დაამარცხა ისინი. მან „დათვებს" ერთი ლელო და ექვსი საჯარიმო გაუტანა და მეტოქის იმედი, ახლა მაინც დაემარცხებინათ ჩვენები, დაასამარა. იმ ჯახში 28 წლის ჯიმშელაძემ ორი პირადი რეკორდი დაამყარა: 23 ქულა ერთ მატჩში მას არასდროს მიუთვლია, ნაკრებში ჩატარებული მატჩებით კი თვით ლევან ცაბაძეს გადაასწრო. ჯიმშელაძის ანგარიშზე 35 კეპია, ამასთან 189 ქულით ბორჯღალოსანთა ბომბარდირი და ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელიც რუსებთან გამართული 7 მატჩიდან 6-ში რომ უთამაშიათ. ჯიმშელაძეს გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით და მასთან ინტერვიუ, ცხადია კრასნოდარული მატჩით დავიწყეთ.*

# ჯიმშელაძის 35 ნამუსის ქუდი

## სერგეევისგან დედანაგინებ რუსებს ნიკოლაევმა ანდერძი დაუტოვა




მეტრ სორელი და დამრტყმელი პალიკო

— ნაკრების ისტორიაში რუსებთან ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. კლოდ სორელმაც შეგვაქო და პრეტენზიები არ გამოუთქვამს, რასაც ყოველი მოგებული მატჩის შემდეგაც აკეთებს. ამჯერად მხოლოდ მცირე შენიშვნები მოგვცა, ისეთი უმნიშვნელო, რომ ყურადღების გამახვილება არც ღირს. მოგება მოგებად და, უფრო ჩვენი თამაშის ხარისხით დავრჩით კმაყოფილები. თქმა არ უნდა, საქართველოს ნაკრები აღარაა მხოლოდ ძალის იმედად მყოფი გუნდი და ტაქტიკურადაც გამართულად თამაშობს.

**— სწორედ ტაქტიკით და ტექნიკით აჯობეთ რუსეთს...**

— მთელი ოთხმოცი წუთი ის ვაკეთეთ, რაც სორელმა დაგვავალა, ერთ წუთითაც არ გვიღალატია არჩეული ტაქტიკისთვის, მაშინაც კი, როცა ვაგებდით. რუსებს იმედი ჰქონდათ, რომ ერთხელ მაინც ავვარდებოდით და შეცდომაზე დაგვიჭერდნენ, მაგრამ ბოლო წუთამდე ჩვენი თამაში ვითამაშეთ. დარწმუნებულები ვიყავით, რომ ასე მოვიგებდით. ჩვენმა სიმშვიდემ სულ გააცოფა რუსები. თამაშისას ერთმანეთს დაერივნენ. მათმა კაპიტანმა სერგეი სერგეევმა მოედანზევე დედა აგინა მეთხუთმეტე ნომერ კლიუჩნიკოვს, რომელიც მეორე ტაიმში დიმჩენკომ შეცვალა, მაგრამ არც ამას დაჰკლებია გინება. ბადრი ხეხელაშვილმა და მალხაზ ურჯუკაშვილმა სისხლი გაუშრეს რუს უკანახაზელებს და ისინიც ზედიზედ ცდებოდნენ. სერგეევი კი აგინებდა და აგინებდა თავისიანებს.

**— რუსები ალბათ დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში...**

— მატჩამდე სულ იმას გაიძახოდნენ, ახლა მაგარი გამწვარებულები ვართ და აუცილებლად მოგიგებთო. მათი იმედები ჩვენს შორის გამართულ ბოლო ორი მატჩის შედეგსაც ემყარებოდა — ჯერ ფრედ ვითამაშეთ, მერე ძლივს მოვუგეთ. ჰოდა, ამბობდნენ, ახლა ჩვენი ჯერია და ნავსს აუცილებლად გავტეხავთო. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, მთლად გაგიჟდნენ. მატჩის შემდეგ ბანკეტზე დანა პირს არ უხსნიდათ. ისეთი სახეები ჰქონდათ, გეგონებოდა, დასახვრეტად მიჰყავთო. რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი თავისიანებს მიუბრუნდა და განწირული კაცივით სთხოვა, ჩემი პრეზიდენტობისას ერთხელ მაინც მოუგეთ ქართველებს და არც თქვენი ერთა თასი მინდა, არც მსოფლიოს თასზე გასვლაო. იმ მომენტში ყველაზე გულქვა ადამიანსაც შეეცოდებოდა რუსები.

**— შენ კი მაგ რუსებს 23 ქულა გაუტანე. ამდენი ქულა ერთ მატჩში მანამდე არც მიგითვლია.**

— მე რა, ბიჭებმა იომეს და მომენტები შემიქმნეს. ნაომარს წყალში ხომ არ ჩავყრიდი. მოდი, ასე ვთქვათ, ჩვენს უპირატესობას სწორი მიმართულება მივეცი.

**— თამაშისას რუსები ნამალავად ხომ არ უხეშობდნენ?**

— არა, არც იმდენად რაგბია და მსაჯისგან მალულად მეტოქისთვის ჩარტყმა არავის უკვირს, მით უმეტეს, ასეთ დაძაბულ ბრძოლაში. რომ ვთქვა, რაიმე პროვოკაციას გვიწყობდნენო, არ ვიქნები მართალი. არანაირი შეხლა-შემოხლა არ მომხდარა, მუჯლუგუნები კი ჩვენც მოგვხვდა და იმათაც.

**— ამაში რუსებთან ვალში ხომ არ დარჩით?**

— ზურდა იმდენი დავუბრუნეთ, რამდენიც ეკუთვნოდათ.

**— რუსებთან გამართულ ბოლო ექვსივე მატჩში გითამაშია. რომელი იყო ყველაზე ძნელი ჯახი?**

— ხუთი წლის წინანდელი, თბილისში 12:6 რომ მოვიგეთ. ასეთი მძიმე ბრძოლა რუსებთან არ გვქონია. მართალია, შარშან თბილისში 12:12 ვითამაშეთ, მაგრამ დაძაბულობით ეს მატჩი ხუთი წლის წინანდელთან ახლოსაც ვერ მივა. შარშანდელი შეხვედრა ჩვენივე უთავბოლობით ვერ მოვიგეთ, თორემ არ იყო რთული მატჩი. აი, ის კი მართლაც ნაღდი ომი იყო. ბოლო ათი წუთი რუსები მთელი ძალით გვიტევდნენ, როგორ გავძელით, ახლაც არ ვიცი. მაშინ მთელი გუნდი შეუვალი კედელივით დადგა.

**— ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი გითამაშია და ბომბარდირიც ხარ...**

— სტატისტიკას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. რა თქმა უნდა, მიხარია, როცა ქულებს ვაგროვებ, მაგრამ ამას ვაკეთებ გუნდისთვის და არა ჩემთვის.

**— გარდასახვა-საჯარიმოებს შენს კლუბში, „ორიაკში" შენ ასრულებ?**

— როგორც წესი, კარში მე ვურტყამ და მგონი, ურიგოდ არ გამომდის. ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრობლემაც არ მაქვს. ერთი ეგაა, სანაკრებო მატჩებიდან რომ ვბრუნდები, კლუბის მომდევნო შეხვედრას ვტოვებ. ასეთია მწვრთნელის პოლიტიკა.

**— რატომ, ნაკრებში თამაშის გამო პრობლემას გიქმნიან?**

— არა, უბრალოდ, გადაღლილი ხარო და მასვენებს. ჩემს მაგივრად კი მათი ფრანგი თამაშობს. მწვრთნელი ამით გარკვეულწილად კონკურენციასაც ზრდის.

**— საქართველოს ნაკრებშიც და კლუბშიც ნახევარდაცვაში შენი მეწყვილე ირაკლი აბუსერიძეა...**

— აბუსერიძეც ძირითადი შემადგენლობის მორაგბეა „ორიაკში" და თამაშის პრობლემა არც მას აწუხებს. მე და „აბუ" მოედანზე საუკეთესო პარტნიორები ვართ. თამაშისას ქართულად ვსაუბრობთ და მეტოქის მცველები ვერაფერს ხვდებიან. თავისუფალ დროს ერთად ვატარებთ. ირაკლი ხშირად მოდის სტუმრად და ჩემი მეუღლის მომზადებულ ქართულ კერძებს ერთად მივირთმევთ.

**— რუსეთთან მატჩის შემდეგ როგორ დაგხვდნენ ორიაკელები?**

— განსაკუთრებული მილოცვები არ ყოფილა. აქ უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ რუსებს სადაც შევხვდებით, იქ ვუგებთ. ის კი მითხრეს, გავიგეთ, 23 ქულა გაგიკეთებიაო და ბევრიც მაქეს.

**ბაჩო სვანიძე**



პალიკო ჯიმშელაძე თანაგუნდელთა ჭაფას სწორ მიმართულებას აძლევს



ქართულ-რუსული შეიდი რკენიდან ბოლოსწინა:
2002, 5 ოქტომბერი, თბილისი

# მატიანე ქართველთა

*დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების მატიანეში პირველი თარიღი 1989 წლის 12 სექტემბერია. მაშინ როცა შინდისფრად შემოსილმა ბორჯღალოსნებმა ქუთაისში ზიმბაბვეს უმასპინძლეს და 16:3 დაამარცხეს. მას აქეთ ჩვენებმა 54 მატჩი ითამაშეს, აქედან 7 რუსეთის წინააღმდეგ.*

*საქართველო — რუსეთის დაპირისპირებაში ბორჯღალოსნების გვარიან უპირატესობა აქვთ: 5 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი.*

*7 მატჩიდან ქართველებმა ორი სტუმრად ითამაშეს, ოთხჯერ რუსებს თბილისში უმასპინძლეს, ერთი ჯახი კი ნეიტრალურ მოედანზე, პოლონეთში, ქალაქ გდანსკში გაიმართა და მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისა იყო — 1993 წლის 25 მაისს რუსეთმა 15:9 გაიმარჯვა. მას აქეთ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამაოდ ცდილობს ჩვენების დამარცხებას. სტუმრად გამართული ორი მატჩიდან ქართველებმა ორივე მოიგეს, შინ კი სამჯერ დასცეს რუსეთი და ერთი მატჩი ფრედ დაასრულეს.*

### საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 12.09.1989 | ტმ | ქუთაისი | საქართველო – ზიმბაბვე | 16:3 |
| 2 | 14.04.1990 | ტმ | ბულავაიო | ზიმბაბვე – საქართველო | 22:16 |
| 3 | 21.04.1990 | ტმ | ჰარარე | ზიმბაბვე – საქართველო | 10:26 |
| 4 | 21.11.1991 | ტმ | თბილისი | საქართველო – უკრაინა | 9:15 |
| 5 | 24.11.1991 | ტმ | რუსთავი | საქართველო – უკრაინა | 6:0 |
| 6 | 13.07.1992 | ტმ | კიევი | უკრაინა – საქართველო | 13:18 |
| 7 | 15.07.1992 | ტმ | კიევი | უკრაინა – საქართველო | 0:15 |
| 8 | 19.07.1992 | ტმ | კიევი | ლატვია – საქართველო | 3:28 |
| 9 | 25.05.1993 | მთშ | გდანსკი | რუსეთი – საქართველო | 15:9 |
| 10 | 27.05.1993 | მთშ | გდანსკი | პოლონეთი – საქართველო | 23:6 |
| 11 | 31.10.1993 | ფირა | ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი – საქართველო | 10:10 |
| 12 | 03.04.1994 | ტმ | გელენჯიკი | ყაზახეთი – საქართველო | 5:17 |
| 13 | 04.06.1994 | ფირა | შო დე ფონი | შვეიცარია – საქართველო | 21:22 |
| 14 | 23.03.1995 | ფირა | სოფია | ბულგარეთი – საქართველო | 8:70 |
| 15 | 25.03.1995 | ფირა | სოფია | მოლდოვა – საქართველო | 5:47 |
| 16 | 15.10.1995 | ფირა | თბილისი | საქართველო – გერმანია | 14:3 |
| 17 | 24.11.1995 | ფირა | კასტრიკუმი | ჰოლანდია – საქართველო | 55:3 |
| 18 | 12.04.1996 | ფირა | თბილისი | საქართველო – ჩეხეთი | 20:3 |
| 19 | 22.09.1996 | ფირა | პრაღა | ჩეხეთი – საქართველო | 14:18 |
| 20 | 20.10.1996 | ფირა | თბილისი | საქართველო – რუსეთი | 29:20 |
| 21 | 19.04.1997 | ფირა | ლისაბონი | პორტუგალია – საქართველო | 21:17 |
| 22 | 10.05.1997 | ფირა | გდანსკი | პოლონეთი – საქართველო | 29:23 |
| 23 | 12.10.1997 | მთშ | თბილისი | საქართველო – ხორვატია | 29:15 |
| 24 | 18.10.1997 | მთშ | კოპენჰაგენი | დანია – საქართველო | 8:19 |
| 25 | 11.04.1998 | მთშ | ლაკვილა | იტალია – საქართველო | 31:14 |
| 26 | 03.05.1998 | ტმ | კიევი | უკრაინა – საქართველო | 17:31 |
| 27 | 20.05.1998 | მთშ | თბილისი | საქართველო – რუსეთი | 12:6 |
| 28 | 14.11.1998 | მთშ | დუბლინი | ირლანდია – საქართველო | 70:0 |
| 29 | 18.11.1998 | მთშ | დუბლინი | რუმინეთი – საქართველო | 27:23 |
| 30 | 06.03.1999 | მთშ | ნუკუალოფა | ტონგა – საქართველო | 37:6 |
| 31 | 28.03.1999 | მთშ | თბილისი | საქართველო – ტონგა | 28:27 |
| 32 | 26.01.2000 | ტმ | ლივორნო | იტალია – საქართველო | 51:7 |
| 33 | 06.02.2000 | ეეთ | ლისაბონი | პორტუგალია – საქართველო | 30:32 |
| 34 | 20.02.2000 | ტმ | სენ გოდანი | მაროკო – საქართველო | 10:20 |
| 35 | 04.03.2000 | ეეთ | მადრიდი | ესპანეთი – საქართველო | 36:32 |
| 36 | 19.03.2000 | ეეთ | თბილისი | საქართველო – ჰოლანდია | 41:6 |
| 37 | 02.04.2000 | ეეთ | თბილისი | საქართველო – რუმინეთი | 20:23 |
| 38 | 04.02.2001 | ეეთ | ამსტერდამი | ჰოლანდია – საქართველო | 3:42 |
| 39 | 17.02.2001 | ეეთ | თბილისი | საქართველო – პორტუგალია | 36:12 |
| 40 | 04.03.2001 | ეეთ | კრასნოდარი | რუსეთი – საქართველო | 23:25 |
| 41 | 17.03.2001 | ეეთ | რუსთავი | საქართველო – ესპანეთი | 43:10 |
| 42 | 07.04.2001 | ეეთ | ბუქარესტი | რუმინეთი – საქართველო | 20:31 |
| 43 | 10.11.2001 | ტმ | თბილისი | საქართველო – საფრანგეთი (ა) | 24:20 |
| 44 | 18.11.2001 | ტმ | თბილისი | საქართველო – ს. აფრიკა (ა) | 17:31 |
| 45 | 03.02.2002 | ეეთ | თბილისი | საქართველო – ჰოლანდია | 88:0 |
| 46 | 16.02.2002 | ეეთ | ლისაბონი | პორტუგალია – საქართველო | 23:27 |
| 47 | 03.03.2002 | ეეთ | თბილისი | საქართველო – რუსეთი | 12:12 |
| 48 | 23.03.2002 | ეეთ | მადრიდი | ესპანეთი – საქართველო | 18:34 |
| 49 | 06.04.2002 | ეეთ | თბილისი | საქართველო – რუმინეთი | 23:32 |
| 50 | 28.09.2002 | მთშ | დუბლინი | ირლანდია – საქართველო | 63:14 |
| 51 | 13.10.2002 | მთშ | თბილისი | საქართველო – რუსეთი | 17:13 |
| 52 | 16.02.2003 | ეეთ | ლისაბონი | პორტუგალია – საქართველო | 34:30 |
| 53 | 22.02.2003 | ეეთ | თბილისი | საქართველო – ესპანეთი | 34:3 |
| 54 | 8.04.2003 | ეეთ | კრასნოდარი | რუსეთი – საქართველო | 17:23 |

სულ: 54 მატჩი, 35 მოგება, 2 ფრე, 17 წაგება, ბურთები 1273:1025, ლელოები 154:115

*შენიშვნა: ტმ — ტესტ-მატჩი; მთშ — მსოფლიოს თასის შესარჩევი; ფირა — ფირა-ს პირველობა; ეეთ — ევროპის ერთა თასი*



AP მაიამიდან

ვლადიმერ სტეფანიამ იუტელ გრეგ ოსტერტაგს ხელები დააშვებინა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# არის რაღაც მატრაკვეცული

## დალასი რომ კაცი იყოს, ბევრი იტყოდა, ერთი მაგის...

10 მარტი

### მაიამი 73:93 იუტა

**მაიამი:** ბესტი (8), რ. ბატლერი (7), კ. ბატლერი (24), ალენი (8), გრანტი (9); ჯეიმსი (6), სტეფანია (28 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა), ელისი (3), კარტერი (1)
**იუტა:** სტოქტონი (14), ჩინი (10), ჰარპრინი (17), მელოუნი (29), ოსტერტაგი; კირილენკო, ჯექსონი (2), პადჯეტი (9), სტივენსონი (2), მასენბურგი

### დალასი 83:92 მინესოტა

**დალასი:** ნოვიცკი (37)
**მინესოტა:** გარნეტი (31 ქულა, 18 მოხსნა), შჩერბიაკი (27)

### ატლანტა 95:86 კლიპერსი

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (26 ქულა, 15 მოხსნა)
**კლიპერსი:** მეჯიტი (19)

„მაიამის“ თავკაცი პატ რაილი ალბათ მაშინ ისწავლის ნერვების მოთოკვას, როცა მისი გუნდი მოგებას დაიწყებს. „ჰიტის“ უილაჯობას თუ გავითვალისწინებთ, მის ალმასვლამდე ჯერაც შორია და სახელიან მწვრთნელსაც მსაჯებთან საკამათო არ ელევა.

რაილი სოლიდური თანხითაც დაუჯარიმებიათ და მოედნიდანაც გაუძევებიათ, მაგრამ დიდ პატს ყველაფერი ავიწყდება, როცა მის შეგირდს მსაჯები „უსამართლოდ“ ექცევიან. ასე მოიწონა „მაიამის“ თავკაცმა გუშინწინაც, როცა „ჰიტის“ ცენტრი ბრაიან გრანტი იუტელ მეფარეებთან ბრძოლაში დააჯარიმეს. განაწყენებული მწვრთნელ-შეგირდი ტექნიკურებით დააშოშმინეს, რომელიც რაილისთვის მეორე აღმოჩნდა ამ მატჩში და ურჩმა პატმაც ტრიბუნებზე აინაცვლა.

„მაიამი“ თავიდანვე უგერგილოდ ირჯებოდა და „იუტას“ მობერებულ ფორვარდ კარლ მელოუნს პირველ ნახევარში 15 ქულა ჩააგდებინა. „ჯაზმენების“ ზორბა ცენტრი გრეგ ოსტერტაგი შეტევაში ვერ ხეირობდა, თუმც საკუთარ ფარს არ აკარებდა „მაიამის“ ძირითად მეფარე გრანტს, ვის დასახმარებლადაც რაილის მოედანზე მალიმალ შეჰყავდა ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია. ვოვაც ხელს არ აკლებდა — 28 წუთში 7 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. სამაგიეროდ, მაიამელებს უკანა ხაზში უჭირდათ. მათი ცქნავა მთავარმეტულე ედი ჯონსი ისევ ტრავმას უჩიოდა და არ უთამაშია. ლიგის ყველაზე გამოცდილ გამთამაშებელ ჯონ სტოქტონსაც რაღა უნდოდა, მან 14 ქულა შეაწია ბოლო ორ მატჩში დამარცხებულ „იუტას“ და პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ მორმონებს წელი გაუმაგრა.

„ჩვენ დღეს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ვინ იცის, ეს მოგება სად გამოგვადგეს, პლეი ოფისთვის ვიბრძვით და ყოველ მატჩში მაქსიმუმი უნდა გავიღოთ“ — თქვა უბერებელმა კარლ მელოუნმა.

პლეი ოფში თამაში თითქმის გარანტირებული აქვთ „დალასსა“ და „მინესოტას“, რომლებიც გუშინწინ ტეხასში შეიყარნენ. თუმც „მავერიკსს“ სხვა სადარდებელი გასჩენია. „დალასი“ რეგულარულ ჩემპიონატს ლიდერობს, თუმც მთლად მეფესავით ვერ გრძნობს თავს. ეს გუნდი დაუნდობელია საშუალო ყალიბის მეტოქეებთან და ყველაზე მეტი მოგებაც ამიტომ დაუგროვებია. „დალასის“ ჩემპიონობის ჭია კი შესჩენია, მაგრამ იცის, რომ მიზნის მისაღწევად ძლიერთა დამარცხებაცაა საჭირო, ხოლო ამ საქმეში მეფედ კი არა, ვეზირადაც ვერ გამოდგება. დალასელები სუსტებს დაიბრიყვებენ და მოგებას მოგებაზე აგროვებენ, მერე კი გამოვა „მინესოტას“ დარი ბობოლა, დალოცვილ ლიგაში საკმარისად რომ მოიძებნება და „მავერიკსს“ სარკეში ჩაახედებს.

ასე დაემართა „დალასს“ ახლაც, ბოლო შეხვედრებში მოგებანაგროვებმა საკუთარ კედლებში „მინესოტას“ დააკოდინა თავი. „მავერიკსი“ უსახურ გუნდს ჰგავდა, ვისთვისაც არათუ ჩემპიონობა, პლეი ოფში თამაშიც კი დაგენანებოდა. ნოვიცკიმ და მისმა გუნდელებმა პირველ მეოთხედში იმაზე ნაკლები ბურთი ჩააგდეს, რამდენიც მათ მინესოტელებმა დაუფარეს. „დალასმა“ ააცილა პირველი 9 ორქულიანი და მხოლოდ მე-12 ცდაზე ჩააგდო პირველი სამიანი. ჯამში ტეხასელებმა სარეკორდოდ ბევრი, 103 ბურთი ესროლეს თამაშიდან, თუმც მხოლოდ 83 ქულას გამორჩნენ.

ნოვიცკიმ 37 ქულა კი მიითვალა, მაგრამ ეს შედეგი ისე ვერ ბრწყინავს, როგორც მინესოტელი ვალი შჩერბიაკის 27 ქულა, ვინც მონაგარის ბარე ნახევარი ბოლო მეოთხედში მოაქუჩა. ისევ იჩაუქა „ოლ სტარის“ უძვირფასესმა კევინ გარნეტმა. „მგელთა მგელი“ აღრენილი იყო, წინა მატჩში „ლეიკერსთან“ მარცხის გამო მისი სამმაგი დუბლი საკადრისად რომ არ დაფასდა და ახლა „დალასზე“ იყარა ჯავრი. გარნეტის 31 ქულა და 18 მოხსნა მომაკვდინებელი გამოდგა პირველობის მოსურნე ბეჯითი დალასელებისთვის.

**ირაკლი პერტაია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 38 | 24 | 61,3 |
| ფილადელფია | 35 | 25 | 58,3 |
| ბოსტონი | 35 | 26 | 57,4 |
| ორლანდო | 32 | 30 | 51,6 |
| ვაშინგტონი | 30 | 31 | 49,2 |
| ნიუ იორკი | 26 | 35 | 42,6 |
| მაიამი | 20 | 40 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 38 | 23 | 62,3 |
| ინდიანა | 38 | 23 | 62,3 |
| ნიუ ორლეანი | 35 | 27 | 56,5 |
| მილუოკი | 30 | 31 | 49,2 |
| ატლანტა | 24 | 38 | 38,7 |
| ჩიკაგო | 22 | 41 | 38,9 |
| ტორონტო | 19 | 39 | 32,8 |
| კლივლენდი | 11 | 50 | 18,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 46 | 14 | 76,7 |
| სან ანტონიო | 42 | 18 | 70,0 |
| მინესოტა | 40 | 23 | 63,5 |
| იუტა | 35 | 25 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 31 | 30 | 50,8 |
| მემფისი | 19 | 41 | 31,7 |
| დენვერი | 12 | 50 | 19,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 43 | 19 | 69,4 |
| პორტლენდი | 39 | 22 | 63,9 |
| ლეიკერსი | 33 | 26 | 55,9 |
| ფინიქსი | 33 | 28 | 54,1 |
| გოლდენ სტეიტი | 30 | 31 | 49,2 |
| სიეტლი | 28 | 32 | 46,7 |
| კლიპერსი | 19 | 41 | 31,7 |



# ჰიუიტი თუ აგასი?

## ცუღლუტ ბავშვს მშობელი წამოადგა





**PACIFIC LIFE OPEN**
**ინდიან უელსი. ჰარდი**
**კაცები**
**საპრიზო 2,245 მილიონი $**
**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:7 (5:7), 6:4; **მარატ საფინი** (7, რუსეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 3:6, 6:3, 7:5; **ალბერტ კოსტა** (8, ესპანეთი) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 7:6 (7:4); **ირჟი ნოვაკი** (9, ჩეხეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4, 7:5; **ვინსენტ სპადია** (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (12, ტაილანდი) 6:3, 6:4; **სხენგ შალკენი** (14, ჰოლანდია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ალექს კორეჩა** (16, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 (7:2), 7:6 (9:7); **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 4:6, 6:1, 6:1; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:1, 6:0; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:4; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:5), 6:3; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:2, 3:6, 6:2; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 2:6, 6:3; **ბრაიან ვაალი** (აშშ) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 2:6, 6:3, 6:4; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4, 6:3; **რობი ჯინეპრი** (არგენტინა) — ჰიუნგ ტაიკ-ლი (სამხრეთ კორეა) 7:6 (7:2), 4:6, 6:4

ინდიანუელსურ მაგარსაფარზე უკვე მეოთხედფინალებამდე მიღწეულ კეკლუცებს იმ დღეს კაცმჩოგნებიც შეუერთდნენ. კაცთა ამქარს მისი უსტაბაში, კისკასი ოზი ჯეელი ლეიტონ ჰიუიტი თამადობს, რომელსაც იქ შარშან მოხვეჭილი ტიტულის დაცვა უწინარესად მისკბილებთან — ხუან კარლოს ფერეროსთან (3), როჯერ ფედერერთან (4), მარატ საფინთან (7) და ენდი როდიკთან (6) ფიცხელ ბრძოლებში მოუწევს. რამის იოლად დამთმობნი არც მეროლანგაროსე ესპანელები — კარლოს მოია (5) და ალ კოსტა (8) არიან.

რაც შეეხებათ ვეტერან ამერიკელებს, მათგან ტურნირზე ჩოგანს მხოლოდ ინდიან უელსის სამგზის ჩემპიონი, წლეულს დიდი ჩოგბურთიდან წამსვლელი მაიკლ ჩანგი გააქნევს. შარშანწინდელმა გამარჯვებულმა, ჩემპიონთა რბოლის ამჟამინდელმა მეპირველე ანდრე აგასიმ მარჯვენა მხრის ტრავმა მოიმიზეზა და შეჯიბრის გამოტოვება ამჯობინა. ხოლო პიტ სამპრასი, რომელსაც ინდიან უელსში ორჯერ უმარჯვია, დიდ კორტზე შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე კარიერის მე-14 სლემტიტულის მოგების შემდეგ არ გამოჩენილა და ამის გაკეთება არც ამ ჯერზე ისურვა. მხად არ ვარო, უთქვამს მრავალი თვალსაზრისით ყველა დროის უდიადეს მეჩოგნეს და იქვე დაუყოლებია, რომ მას მომავალი კვირიდან არც კი ბისკეინში უნდა ველოდოთ.

შესავლად კიდევ ერთი რამეცაა სათქმელი. უკეთუ ლეიტონ ჰიუიტი ამ კვირაში ნახევარფინალამდე ვერ გააღწევს, 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში მის ნაცვლად ანდრე აგასი გაპირველდება. სამკვირათ მონაცემებით ოზბიჭი ბებერ არმენოამერიკელს 330 ქულას უგებს, მაგრამ ტიტულის ვერშენარჩუნების შემთხვევაში მას შარშან მოხვეჭილი 500 ქულა ჩამოერთმევა, მაშინ როცა აგასი მხოლოდ 5 ქულას მოისაკლისებს — ის ხომ იქ შარშან პირველსავე წრეში დამარცხდა. ნახევარფინალამდე ჩოგნაობა ჰიუიტს 500-დან 225 ქულას დაანარჩუნებინებს, ეს კი — თავადვე დათვლით — პირველ საფეხურზე გასაჩერებლად საკმარისი იქნება.

და კიდევ — თუ ჰიუიტი რეიტინგსიის მწვერვალი სნობას მომდევნო ოთხი კვირის განმავლობაშიც მოახერხებს, ყველა დროის ყველაზე დიდხანს მეპირველეთა ჩამონათვალში მეშვიდე ადგილიდან აიტებს შტეფან ედბერგს, რომელსაც ეს პოზიცია თავის დროზე ზედიზედ 72 კვირა ეკავა. თავის მხრივ, ინდიან უელსში ჰიუიტის ჩაფლავების შემთხვევაში, ანდრე აგასი ეიტიპის ისტორიაში ყველაზე მხცოვანი პირველმეჩოგნე გახდება.

ტიტულის დაცვას კი გაუტეხელი ოზი მაროკოელ იუნეს ელ აინაუისთან ჯახით დაიწყებს, იმ ელ აინაუისთან, ვინაც ის იანვარში მშობლიური ღია პირველობის მეოთხე წრიდანვე გააძევა (7:6, 6:7, 7:6, 6:4). ისინი აქამდე ერთმანეთს 5-ჯერ შეხვდნენ და ჰიუიტი შავხუჭუჭა მაღრიბელს 3:2 უგებს...

სხვათაშორის — პირველმა დღემ ბარაქიან ჩოგნაობაში ჩაიარა, ხოლო განთესილთა ამქარს უმალვე გამოაკლდა მე-12 ნომრად გამწესებული ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანი. შრიჩაფანს 5 იანვარს მადრასში გაჩემპიონების შემდეგ ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და უკვე მეხუთე ტურნირია, ან პირველ წრეში იფლავებს, ანაც — მეორეში. უკანასკნელ 6 სამაგარსაფრო შეხვედრაში ეს მისი მეხუთე მარცხი იყო, არადა შარშან მან მაგარ საფარზე 40 მატჩში იმარჯვა და ამ მაჩვენებლით ამქარში ყველას გადაამეტა...

იმ დღეს მან მეკვალიფიკაციე ამერიკელ სპადიასთან დათმო. სპადია ოდესღაც რანგით მე-19 ჩოგანს ფლობდა, მერე სადღაც 200-ს მიღმა ჩაიძირა, ახლა კი კვლავაც ამოყელყელავებას ლამობს და ეს კვირა კლასიფიკაციის 56-ე საფეხურზე დაიწყო, იმედი აქვს, უახლოეს მომავალში ზეორმოცდაათშიც შეალაჯებს.

საპირველდღეო მატჩებიდან გამოსაყოფია აგრეთვე რანგით 82-ე ჩოგნის მქნეველ ბრაიან ვაალის მიერ მასზე 61 საფეხურით მაღლა მდგომი ნიჭიერი ჩილელის, გონსალესის ოტება.

ძალზედ გაუჭირდა მარატ საფინს, რომელსაც ავსტრიელ კუბეკთან ბულრაობისას მესამე სეტში ქალამანი გადაეხა და ტერფი გადაეღლიზა. ამგვარად ვნებული, მეტოქეს ის 1:4 ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ ახალი ქალამნები ამოისხა და კუბეკს ისე შმაგად მიუხდა, შვიდი გეიმიდან მხოლოდ ერთიღა დაანება.

კარგი სანახავი გამოდგა მესლემტიტულეთა — შარშანდელი მეროლანგაროსე კოსტას და უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონ კრაიჩეკის განდაგანაც. ზორბა ჰოლანდიელმა კოსტას 19 ეისი კი გადაუჭირა, მაგრამ მისი 23 შეცდომის წილ 42-ჯერ მიჰქარა და მატჩის ბედიც თავის საზარალოდ თვითონვე გადაწყვიტა.

**ქალები**
**საპრიზო 2,1 მილიონი $**
**მეოთხე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — ელენა დემენტიევა (14, რუსეთი) 6:4, 4:6, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — ელენა ბოვინა (13, რუსეთი) 6:4, 6:3; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — მეგენ შონესი (23, აშშ) 6:3, 4:6, 6:1

ჯენი კაპრიატიმ იმ დღეს პირადი ნავსი გატეხა — ინდიან უელსზე მესამედ ჩასულმა პირველად შეძლო, მეოთხედფინალში გასულიყო. რუსი დემენტიევა მას მესამე სეტამდე ეომა, მაგრამ მესამეში ილაჯი მოისაკლისა და ნელ-ნელა ჩაყვინთა.

მომდევნო შეხვედრას კაპრიატი ისევ რუსქალთან, მოულოდნელ მეოთხედფინალისტ ვერა ზვონარიოვასთან გამართავს, ვინაც — თავის მხრივ — იმ დღეს ამერიკელ შონესის აჯობა.

შევახსენებთ, რომ სამგზის მესლემტიტულე ჯენიფერარი ინდიან უელსში სეზონის პირველ, ხოლო კარიერის მე-14 ტიტულს დაეძებს...

იმ დღეს გარკვეულ მეორე მეოთხედფინალურ წყვილს კი ტურნირის ორგზის გამარჯვებული ლინდსი დევენპორტი და ფრანგი ამელი მორესმო შეადგენენ.

**ლევან ძელაურაძე**




ახლებიდან ყველაზე ტიტულოვანმა კრისტიანო და მატამ მელბურნში მხოლოდ შვიდი წრე გაძლო

# 600 ასი

## ორმეტრიანები ფორმულაშიც მოვიდნენ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1-ის** წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატში ოთხი დებიუტანტია: ორი ბრიტანელი — ჯასტინ უილსონი (24 წლის, „მინარდი“), რალფ ფირმენი (27, „ჯორდანი“) და ორიც ბრაზილიელი — კრისტიანო და მატა (29, „ტოიოტა“) და ანტონიო პიცონია (22, „იაგუარი“).

ახლებიდან ყველაზე გამოცდილ-სახელოვანია ამერიკული ფორმულის — „კარტის“ შარშანდელი ტრიუმფატორი და მატა, მაგრამ თავისი მოწიფული ასაკის გამო უნდა იჩქაროს, თუ „სამეფო რბოლებში“ კვალის დატოვებას აპირებს.

ტიტული აყლაყუდა უილსონსაც აქვს. იგი „ფორმულა 3000“-ის შარშანწინდელი გამარჯვებულია, მაგრამ ჩემპიონს წინსვლაში სწორედ ავტომრბოლისთვის უჩვეულო სიმაღლემ (192სმ) შეუშალა ხელი, რადგან უფრო დაბლებზე გათვლილ ფორმულა 1-ის კოკპიტში ის ვერ ეტევა. ბოლოს „მინარდის“ მეპატრონემ პოლ სტოდარტმა გარისკა და „გულივერს“ თავის საჯინიბოში დაუთმო ადგილი, რისთვისაც ლამის მთელი მანქანის გადაკეთება გახდა საჭირო.

სხვა ახალბედებს წარსულში ცნობილ მრბოლ რალფ ფირმენ-უფროსის ვაჟიშვილს და ამაზონის ჯუნგლებიდან გამოსულ ანტონიო პიცონიას ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი მოუმკიათ, მაგრამ მათ ამჟამინდელ შეფებს წარმატების იმედი რომ არ ჰქონდეთ, ბიჭები დღეს უმუშევრები იქნებოდნენ.

კვირას ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებაში ახალბედა ოთხეულიდან ფინიშამდე ერთმაც ვერ მიაღწია, თუმც აქ უფრო სხვა რამაა აღსანიშნავი: მელბურნის „ალბერტ-პარკის“ ტრასაზე მათი გაჯირითების შემდეგ „სამეფო რბოლების“ 54-წლიან ისტორიაში მონაწილეთა რაოდენობამ ექვსასს უწია.

ყველაზე ხალხმრავალი წარმომადგენლობა ბრიტანელებს ჰყავთ და რა გასაკვირია, რომ შედეგიანობითაც კონკურენტებზე იმდენად წინ დგანან, მათ ჰეგემონიას კიდევ დიდხანს წყალი არ შეუდგება. სულ ხუთი კონტინენტის 33 ქვეყნის წარმომადგენლებს ურბოლიათ, ჩემპიონობა კი 27 გამორჩეულს ერგო. ბოლოს იმაზეც, რომ ექვსასიდან ორ პილოტს ლამის სამუდამო რეკორდსმენობა გარანტირებული აქვს: იტალიელ რიკარდო პატრეზეს ჩატარებული რბოლების რაოდენობით (256), ხოლო ლეგენდარულ გერმანელ მიხაელ შუმახერს — მოგებული ეტაპების (64) და ქულების (950) მხრივ.

**გია ახალაძე**

| ქვეყანა | პილოტი | რბოლის მომგები | მსოფლიოს ჩემპიონი | ჩემპიონის ტიტული |
|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 145 | 17 | 8 | 12 |
| იტალია | 81 | 13 | 2 | 3 |
| საფრანგეთი | 64 | 12 | 1 | 4 |
| აშშ | 47 | 5 | 2 | 2 |
| გერმანია | 39 | 5 | 1 | 5 |
| ბრაზილია | 26 | 5 | 3 | 8 |
| არგენტინა | 22 | 3 | 1 | 5 |
| შვეიცარია | 22 | 2 | - | - |
| ბელგია | 19 | 2 | - | - |
| სამხრეთ აფრიკა | 17 | 1 | 1 | 1 |
| ავსტრალია | 13 | 2 | 2 | 4 |
| ავსტრია | 12 | 3 | 2 | 4 |
| იაპონია | 12 | - | - | - |
| კანადა | 11 | 2 | 1 | 1 |
| ჰოლანდია | 11 | - | - | - |
| ესპანეთი | 10 | - | - | - |
| შვედეთი | 9 | 3 | - | - |
| ახალი ზელანდია | 8 | 2 | 1 | 1 |
| ფინეთი | 6 | 2 | 2 | 3 |
| მექსიკა | 4 | 1 | - | - |
| ზიმბაბვე | 3 | - | - | - |
| ურუგვაი | 3 | - | - | - |
| კოლუმბია | 2 | 1 | - | - |
| მონაკო | 2 | - | - | - |
| პორტუგალია | 2 | - | - | - |
| დანია | 2 | - | - | - |
| მაროკო | 2 | - | - | - |
| ჩილე | 1 | - | - | - |
| ტაილანდი | 1 | - | - | - |
| ვენესუელა | 1 | - | - | - |
| ლიხტენშტაინი | 1 | - | - | - |
| ჩეხეთი | 1 | - | - | - |
| მალაიზია | 1 | - | - | - |



# ლეკო ანძაზე შემოჯდა

## სალამი ბაქოდან: ვუნდერკინდმა ნავუნდერკინდალს მარცხი აკადრა

*წლეულს ესპანურ საჭადრაკო ქალაქ ლინარესში იმდენი ძლიერი მოჭადრაკე შეიყარა, რამდენიც არც ერთ სუპერტურნირს არ ახსოვს. კასპაროვი, კრამნიკი, ლეკო, პონომარიოვი, ანანდი მსოფლიოს მოჭადრაკეთა რეიტინგსიის სათავეში იმყოფებიან. ამათგან პირველი ოთხი მალე „მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის“ ტიტულისთვის შეერკინება ერთმანეთს. დანარჩენი ორი მონაწილე რაჯაბოვი და ვალეხო კი მსოფლიოს ამომავალ ვარსკლავებად ითვლებიან*

ჯერ ცოტა ისტორია: 2000 წელს, როცა კასპაროვმა და კრამნიკმა თანაბარი ქულებით დაასრულეს ტურნირი, ჟიურიმ მათი დამატებითი მიღწევები შეაჯამა (მოგებათა რაოდენობა, ურთიერთშეხვედრები და სხვა). მოჭადრაკეებს აქაც ყველაფერი თანაბარი ოდენობით აღმოაჩნდათ. მაშინ გარი კასპაროვმა მთავარი პრიზი, „ვერცხის ანძა“, კრამნიკს დაუთმო, შინ ისედაც უკვე ექვსი ამისთანა მაქვსო.

ეს კრამნიკის პირველი ლინარესული ჯილდო იყო. კვირას შეეძლო, თავის პრიზების თაროსთვის მეორეც შეემატებინა, თუმც...

დაძაბულ ბოლო ტურში კრამნიკს აუცილებლად უნდა ემარჯვა უშუალო კონკურენტ ლეკოსთან. ორივე მოჭადრაკე თანაბარი ქულებით ცხრილს სათავეში ედგა, თუმც უნგრელი დიდოსტატი მეტი გამარჯვებით უპირატესობას ფლობდა და ამ მატჩში მისთვის მთავარი არწაგება იყო.

კრამნიკმა თამაში თავიდანვე შეტევებით დაიწყო, ლეკომ შეძლო მისი მოგერიება და დაცვა გაამაგრა. მთავარი ბრძოლები 35-ე უჯრაზე გაიმართა, სადაც საბოლოოდ ერთი პაიკით ლეკო დაწინაურდა. ამ შეწირვით კრამნიკმა შეტევისთვის გაიკაფა გზა და ორიოდ სვლაში ხარისხობრივი წონასწორობა აღადგინა. თამაში კვლავ რუსი დიდოსტატის შეტევებით გაგრძელდა და იგი პაიკის ლაზიერად გაყვანას შეეცადა, თუმც ლეკოს დაცვას ვერაფერი მოუხერხა და მისთვის არასასურველ ყაიმზე დაყაბულდა.

კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკი ლეკოსთან რევანშის ალებას ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში შეეცდება.

ტურნირის მთავარი სენსაცია მეორე ტურში მოხდა, როცა მსოფლიოს რეიტინგში პირველადგილოსანი და ფეთორებით მოთამაშე კასპაროვი 15 წლის ბაქოელ ვუნდერკინდ თეიმურ რაჯაბოვთან დამარცხდა. როგორც ჩანს, რუსი დიდოსტატი გასულ თვეში კომპიუტერთან მძიმე მატჩის შემდეგ ძლიერ გადაიქანცა და ლინარესის ტურნირის შვიდგზის მომგები საბოლოოდ მისთვის შეუფერებელ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

კვლავ სუსტად ითამაშა ფიდეს ჩემპიონმა პონომარიოვმა, რომელმაც პირველი ნახევარი ქულა მესამე ტურში მოიპოვა. უკრაინელი დიდოსტატი მსოფლიოს პირველობაზე თავის მთავარ კონკურენტ გარი კასპაროვს შეხვდა, და საბოლოოდ, ორი მატჩის ჯამში 0,5-1,5 დამარცხდა.

ახლახან ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის მომგებმა ვიშვანათან ანანდმა კასპაროვთან ერთად 6,5 ქულა დააგროვა და უკეთესი მაჩვენებლებით მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ტურნირის ერთადერთი აბორიგენი მონაწილის, ფრანსისკო ვალეხოსგან დიდ მიღწევას ალბათ არავინ ელოდა და მის ყოველ ყაიმით დასრულებულ პარტიას ესპანელები დიდ წარმატებად თვლიდნენ. საბოლოოდ 20 წლის ვალეხო მისთვის სანუკვარო მეექვსე ადგილს დასჯერდა.

რაც შეეხება ტურნირის ყველაზე ნორჩ მონაწილეს, რაჯაბოვს, კასპაროვთან ხმაურიანი გამარჯვების გარდა მას ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და საბოლოოდ მოკრძალებულ ბოლო ადგილზე გავიდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



NHL

### რეგულარული ჩემპიონატი

# სუნდინის ცხოვრება 1000 ქულაა

10 მარტი

**ვაშინგტონი 2:1 ფილადელფია**
**0:0 0:1 1:0 1:0**

**0:1 ლაპოინტი (37), 1:1 ლანგი (48), 2:1 ბონდრა (61)**

11 მარტს ღამის 12 საათზე ნჰლ-ში შეწყდა ყოველგვარი გადასვლა-გადმოსვლა. წლევანდელი დედლაინი ნამდვილად დასამახსოვრებელი გამოდგა. სანხოსელ ოუენ ნოლანის ტორონტოში გადასვლას ერთი ხმაურიანი გაცვლაც დაემატა, ორშაბათს სოლიდურად გაძლიერდა აღმოსავლეთის კიდევ ერთი ფავორიტი, ფილადელფია. ამ გუნდმა ფინიქსიდან ტონი ამონტე შეიმატა. ბოლო წლების ერთ-ერთ თვალსაჩინო მეგოლეს სამ სეზონში 40-ზე მეტი გოლი გაუტანია. საუკეთესო წლები მან ჩიკაგოში გაატარა, წლევანდელი სეზონი კი ფინიქსში დაიწყო, თუმც იქ რატომღაც ვერ ააწყო თამაში. ამონტეს ახალ გუნდში ახლო მეგობარი და ძველი პარტნიორი ჯერემი რენიკი დახვდება.

ფილადელფიას რომ შეტევითი პოტენციალის გაზრდა სჭირდება, ბოლო მატჩმაც ცხადყო. ერთადერთი შაიბა გუნდის თავდასხმის მეოთხე ხაზმა შეაგდო.

ამონტემ კი, ცხადია, ახალ გუნდში თამაში ვერ მოასწრო.

**კაროლინა 6:5 კოლუმბუსი 4:0 1:1 1:4**

**1:0 კრ. ადამსი (4), 2:0 კ. ადამსი (8), 3:0 დეფო (14), 4:0 ონილი (18), 4:1 ვიბორნი (25), 5:1 კრ. ადამსი (35), 5:2 კესელსი 44), 5:3 უიტნი (52), 5:4 ვიბორნი (53), 6:4 დეფო (53), 6:5 სანდერსონი (58)**

**რეინჯერსი 1:2 ფლორიდა 0:1 1:0 0:1**

**0:1 კოზლოვი (6), 1:1 მაკარტი (29), 1:2 კოზლოვი (44)**

**ნეშვილი 1:3 მონრეალი 0:2 0:0 1:1**

**0:1 გილმორი (5), 0:2 ოდეტი (9), 1:2 პეტროვი (49), 1:3 ოდეტი (60)**

**ედმონტონი 2:3 ტორონტო 0:0 1:0 1:3**

**1:0 რ. სმიტი (26), 1:1 მოგილნი (41), 1:2 კაბერლე (41), 1:3 სუნდინი (55), 2:3 კომრი (60)**

999-ს ჯადო მოეხსნა. 6-მატჩიანი უქმი წვალების შემდეგ ტორონტოს კაპიტანმა მატს სუნდინმა როგორც იქნა, გაიტანა და 1000-ქულიან ზღვარს უწია. მისი ახალი პარტნიორი ოუენ ნოლანი კი სადებიუტო მატჩში დუბლის შემდეგ ამჯერად პასით დაკმაყოფილდა.




ნეშვილელმა სკოტ უოლკერმა და მონრეალელმა ანდრეი მარკოვმა ერთმანეთი დატორეს

**კოლორადო 2:2 ფინიქსი**
**0:0 2:0 0:2 0:0**

**1:0 ფორსბერგი (31), 2:0 რაინპრეხტი (33), 2:1 დოუნი (41), 2:2 სავაჟი (54)**

**ლოს ანჯელესი 2:3 დეტროიტი**
**0:1 0:2 2:0**

**0:1 დრეიპერი (16), 0:2 ლიდსტრიომი (22), 0:3 ზეტერბერგი (30), 1:3 შნაიდერი (43), 2:3 პალფი (56)**

დეტროიტელ ვეტერან ბრეტ ჰალს უყვარს ახალგაზრდა პარტნიორების შექება. შარშანდელ ახალბედას პაველ დაციუკს „ოქროს ბრეტის“ სიტყვიერი თუ საქმიანი მხარდაჭერა არ მოჰკლებია. ახლა კი ჰალი ქათინაურებით ამკობს მეორე ახალგაზრდას ჰენრიკ ზეტერბერგს. ეგებ შვედმა დაციუკისგან განსხვავებით სეზონის საუკეთესო დებიუტანტის ტიტული ვერ დაისაკუთროს, მაგრამ ის, რომ ბოლო ხანს ბებერი მეგოლე ამ ორ ყმაწვილთან ერთად საუცხოოდ თამაშობს, ცხადზე ცხადია. მათი სამეული ყველა მატჩში გამოირჩევა. ამ თამაშშიც ზეტერბერგმა ჩინებული გოლი გაიტანა.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 69 | 43 | 7 | 1 | 18 | 220:149 94 |
| ნიუ ჯერსი | 67 | 39 | 6 | 5 | 17 | 178:140 89 |
| ვაშინგტონი | 71 | 33 | 8 | 5 | 25 | 195:187 79 |
| ფილადელფია | 68 | 35 | 11 | 4 | 18 | 159:142 85 |
| ტორონტო | 70 | 38 | 5 | 1 | 26 | 203:178 82 |
| ტამპა | 69 | 30 | 11 | 5 | 23 | 186:183 76 |
| ბოსტონი | 69 | 31 | 8 | 3 | 27 | 208:203 73 |
| აილენდერსი | 68 | 30 | 9 | 2 | 27 | 181:188 71 |
| რეინჯერსი | 71 | 28 | 9 | 2 | 32 | 187:207 67 |
| მონრეალი | 70 | 25 | 8 | 8 | 29 | 174:203 66 |
| ფლორიდა | 70 | 22 | 12 | 9 | 27 | 159:202 65 |
| პიტსბურგი | 70 | 25 | 4 | 5 | 36 | 169:215 59 |
| ბუფალო | 68 | 21 | 9 | 6 | 32 | 152:177 57 |
| კაროლინა | 70 | 21 | 9 | 6 | 34 | 148:198 57 |
| ატლანტა | 67 | 22 | 6 | 4 | 35 | 178:240 54 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 69 | 38 | 15 | 2 | 14 | 210:140 93 |
| ვანკუვერი | 69 | 39 | 11 | 1 | 18 | 218:175 90 |
| დეტროიტი | 69 | 39 | 9 | 3 | 18 | 220:173 90 |
| კოლორადო | 69 | 34 | 12 | 7 | 16 | 203:167 87 |
| სენტ ლუისი | 68 | 35 | 8 | 6 | 19 | 214:178 84 |
| მინესოტა | 68 | 34 | 9 | 1 | 24 | 166:148 78 |
| ანაჰაიმი | 70 | 33 | 8 | 4 | 25 | 168:167 78 |
| ედმონტონი | 69 | 29 | 8 | 8 | 24 | 184:190 74 |
| ნეშვილი | 68 | 27 | 10 | 5 | 26 | 166:168 69 |
| ფინიქსი | 68 | 27 | 9 | 4 | 28 | 177:186 67 |
| ლოს ანჯელესი | 69 | 29 | 4 | 4 | 32 | 177:187 66 |
| ჩიკაგო | 69 | 25 | 10 | 5 | 29 | 168:179 65 |
| სან ხოსე | 68 | 25 | 6 | 5 | 32 | 184:201 61 |
| კალგარი | 68 | 23 | 10 | 4 | 31 | 154:195 60 |
| კოლუმბუსი | 68 | 24 | 7 | 3 | 34 | 180:220 58 |

შენიშვნა: კონფერენციებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან



# ყველაზე სარვამარტო საქმე...

ამ უქმეებზე, ტრადიციულად, მუშტაიდის ბაღში, სამეჯლისო ცეკვების სტუდია „თელაში" მრავალი წყვილი ცეკვავდა: ახალგაზრდები ევროპული და ლათინოამერიკული ცეკვების თვალსაამოდ შესრულებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

საქართველოს ღია ჩემპიონატის მონაწილეთაგან ეს გოგონები გამოვარჩიეთ, ტყუპები, თინათინ და ნინო გუგავები, რომელთაც პარტნიორობას უწევენ ზურაბ კიკაბიძე და დავით წივნაძე. თინათინ-ზურაბის წყვილი, რომელიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა,.

თინათინი და ზურაბი 5-6 აპრილს სანკტ პეტერბურგში მიემგზავრებიან ესენგეს ჩემპიონატზე, მერე კი მოსკოვია...



REUTERS

# გაზის შიში

ბოსტონში ერთგვარი მღელვარებაა. იქაური ჰოკეის გუნდის „ბრუინსის" და „ვაშინგტონ კეპიტალზის" თამაშის წინ ყოველ მაყურებელს ჩხრეკენ, პატარა გოგონებსაც კი. ეს იმიტომ, რომ ორიოდ დღის წინ „ბოსტონ სელტიკსისა" და „ლოს ანჯელეს კლიპერსის" საკალათბურთო მატჩისას ბოსტონელთა სათადარიგო სკამზე ამოუცნობი გაზი მიესხურა. მომსხურებელი ვერ დადგინდა, კალათბურთელები კი გასახდელში გაცვივდნენ.



REUTERS

# ჰარი თქვიქნეემში

ბრიტანეთის უმცროსი უფლისწული ჰარი, ცხადია, თვიქნემში იყო გასულ შაბათს, სადაც ინგლისის მორაგბეთა ნაკრები იტალიელებს მასპინძლობდა. ჰარის გვერდით კი ერთი ვინმე ბიჭი ზის, რომელიც ჩვენი ამოცნობით „ვარსკვლავეთის ომები: მეორე ეპიზოდის" მსახიობი ჰეიდენ კრისტენსენი უნდა იყოს.

# ავტოგრაფები

ეს ხელმოწერობაა მელბურნის ალბერტ პარკის კიდეზე ხდება. იქ გასულ უქმეებზე ავსტრალიის დიდი პრიზი გათამაშდა მეფორმულეთა შორის. კალმისტრით ბუკლეტებს ჩაღრმავებული კაცი კი კანადელი ჟაკ ვილნევი გახლავთ, რომელიც ალალად დაიხარჯა ავტოგრაფებში.



REUTERS



REUTERS

# მარტის სიგიჟის დასაწყისი

ასე ხარობს მთელი სტუდენტობა. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდისგან დიუკელთა ძლევამ მთელი ჩეპელ ჰილის ახალგაზრდობა ქუჩებში გამოიყვანა. მოახლოებულია სტუდენტური კალათბურთის გადამწყვეტი დღეები, რომელსაც „მარტის სიგიჟეს" უწოდებენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვახო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩვლია, ელენე ველუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან ღარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge